გაზეთი ზევრის, „ვერსიას" ერთი

# ვერსია

ფასი 40 თეთრი

№136 (892) 23 - 24 დეკემბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

დიტო გელოვანი

## კეკელა და მაროთი, ტოიოტა პრადოთი

ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში



გვ. 3

# უფლებააღდგენილი უგულავას ანატომია და ნაციონალური სევდა

ორი ვერსია, რის გამოც გიგი უგულავას მერის უფლებამოსილება შეუჩერეს

ნაციონალები ხუთ მოთხოვნას აყენებენ

## „ჩხარტიშვილსა და ნაციონალებს ერთმანეთში ანგარიშები აქვთ, თორემ ვანო პოლიტიკური დევნილი არასოდეს ყოფილა"



„იცით, პრობლემა რა არის და ეს თემა ახლა რატომ წამოწიეს? — იმიტომ, რომ ვანო ჩხარტიშვილის ახლანდელი პოზიცია იმისგან, რასაც იმ შეხვედრაზე მისი წარმომადგენლები ამბობდნენ, რადიკალურად განსხვავდება და ამ ჩანაწერში ყველაფერი ჩანს. ამ ჩანაწერის დისკრედიტირებას ცდილობენ, რათა მათ არავინ ჰკითხოს, რატომ შეიცვალეს პოზიცია რადიკალურად".



გია ხუხაშვილი „ვერსიას" სკანდალური ჩანაწერის დეტალებს უყვება

გვ. 5

## რევოლუცია მედიცინაში

რა ბოლო თაობის აპარატურა მონტაჟდება თოდუას კლინიკაში ონკოლოგიური ავადმყოფებისთვის?!



გვ. 7

## ნალკა — შუასაუკუნეების აჩრდილი 21-ე საუკუნეში



გვ. 8

აჭარელი ეკომიგრანტების სამპუნქტიანი ულტიმატუმი

დიტო გელოვანი

**...ზოგი ადამიანი იქნებ ყველაფრით, ათასი საუკეთესო ღირსებით იყოს შემკული და მათი სწორად გამოყენების უნარი კი არ გააჩნდეს. ღირსებები ერთი მონაცემია, მათი სწორად გამოყენების უნარი — მეორე. ორ ადამიანს იქნებ თანაბარი შესაძლებლობები, მაგრამ სხვადასხვაგვარი ზნეობა ჰქონდეს. მაშინ, ყოველი მათგანი თავის შესაძლებლობებს საკუთარი ზნეობის თანახმად გამოიყენებს. ადამიანის ნამოქმედარის ღირებულება მისი ზნეობის ღირებულებით განისაზღვრება. დარწმუნებული ვარ, ყველა დროის საზოგადოებაში იყო არწივის, სვავის თუ ჩიორას მეტ-ნაკლები ასპარეზი და ადამიანი ერთს, მეორეს თუ მესამეს ზნეობრივი მიდრეკილების თანახმად ირჩევდა.**

***(ჭაბუა ამირეჯიბი, „დათა თუთაშხია“)***

# კეკელა და მაროთი, ტოიოტა პრადოთი




ჰოდა, სწორედ მაგაშია საქმე — ზნეობაში, რომელიც მიდრეკილებებს განსაზღვრავს. შტანგის აწევა რომ შეგიძლია, ვიღაცის მკლავის გადაწევა რომ შეგიძლია, კალათში ბურთის ჩატენვა და შპაგატში ჩაჯდომა რომ შეგიძლია, სიმღერა და ცეკვა რომ გეხერხება და კიდევ ათასი რამ, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს რამეს. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ შეგიძლია ის, რაც უკვე ჩამოითვალა. რა გინდა და რისთვის აკეთებ — ეს არის თემა. ეს არის თავისუფალი თემა, რომელსაც ყველა ვერ წერს, ბევრი კი, წაკითხულსაც ვერ იგებს.

მთავარი ხომ გაგებაა...

გასული კვირის (და, კიდევ, იმის წინა კვირის) ამბებიდან, რა თქმა უნდა, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო გიგი უგულავას შუაღამეული ციმციმ გადაყენება, ვანო მერაბიშვილის ჟიმ-ჟიმ გამოყენება, საზმაუს ბორდ-ის კომისიის ჰიპჰოპ კინტაურები, ჯაჭვლიანის „ნუ ბლატაობ, შე ჩმორო“ და ავთანდილ ბერიძის „მე ტოიოტა ბიჭი ვარ“... და სხვაც ბევრი, თუმცა... როგორ გითხრათ... მაგალითად, თოვლი შეიძლება იყოს მშრალი, სველი, მძიმე, მსუბუქი, ფანტელი, რომ ბარდნის, რომ ცრის... მაგრამ თოვლი ყოველთვის არის თეთრი ანუ, ფერი (ქიმიურ შემადგენლობასთან ერთად) არის მისი ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი.

იმის თქმა მინდა, რომ თუ თოვლზე ვამბობთ, რომ არის თეთრი, გასული კვირის ამბების, მოვლენებისა, გაელვებებისა და ეპიზოდების საერთო მახასიათებლად, პირადად მე, ეს ნიუსი მიმაჩნია:

„კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის, გურამ ოდიშარიას ბრძანებით, ფოლკლორის ცენტრის დირექტორი გიორგი უშიკიშვილი თანამდებობიდან გათავისუფლდა. აღნიშნულის შესახებ მინისტრის ბრძანებას „ფეისბუქში“ თავად უშიკიშვილი აქვეყნებს. ის თანამდებობიდან მის გათავისუფლებასთან დაკავშირებით სოციალურ ქსელში, საკუთარ გვერდზე კომენტარსაც აკეთებს. „მეგობრებო, აღარ ვარ ფოლკლორის ცენტრის დირექტორი. მიუხედავად ბევრი მნიშვნელოვანი პროექტისა, გამათავისუფლა ბატონმა მინისტრმა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ წერილზე ხელის მოწერას თავი ავარიდე, ოღონდ, აღსანიშნავია, რომ ხელი მხოლოდ იმიტომ ვერ მოვაწერე, რომ შვებულებაში ვარ. აჰა, ასე აღადგინა სამართლიანობა ანზორ ერქომაიშვილმა. არა უშავს, ეს დასაწყისია დიდი ბრძოლის, მადლობა ყველას მხარდაჭერისთვის“, — წერს უშიკიშვილი.

ა, ბატონო — არც ციხეში ჩაუსვამთ, არც ქონება წაურთმევიათ, არც უცემიათ, არ ცოცხი შეურჭვიათ და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც ხმა ჩამოურთმევიათ (რომელიც ღმერთმა მისცა) და არც ხმის უფლება (რომელიც კონსტიტუციამ უბოძა), მაგრამ მაინც, „ეს დასაწყისია დიდი ბრძოლისა“-ო.

ახლა, ამ ნიუსით ისიამოვნეთ: „მიუხედავად იმისა, რომ გირაო შემეფარდა, ჯერ ბრძოლა არ არის დამთავრებული, — აღნიშნული განცხადება თბილისის მერმა გიგი უგულავამ სასამართლო პროცესის შემდეგ „რუსთავი 2“-ის ეთერში ჩართვისას გააკეთა“.

მოკლედ, გასული კვირის, იმის წინა კვირის, იმის, იმის, იმის და მომდევნო და კიდევ მომდევნო კვირების მხატვრულ-გრაფიკული გამოსახულება შეიძლება იყოს, საზოგადოებრივი მაუწყებლის ძველი ლოგო ვერტიკალურად რომ დააყენო და აქეთ-იქიდან მაქაცარია-შარანგიების (ჯერ კიდევ მაგათია, მაგრამ მალე...) „კავკასუს ონლაინის“ ახალი ლოგო მიუხატო. სიტყვით კი არის ეს — „გოიმები“, ანაც ეს — „ქაჯები“.

და ეს ის შემთხვევაა, როდესაც ქაჯებს ციხეს კი არ უნდა უნგრევდე, არამედ, უნდა უშენებდე — „მშვიდობაში მოიხმარეთ 20-20 წელი და რომ გამოხვალთ, კიდევ 20-20 წელი ღილაკზე თითის მიჭერა არ დაგავიწყდეთ“.

მაგრამ, ვინაა პატრონი? პატრონობა მოვლას ნიშნავს, მაგრამ მოვლაც არის და მოვლაც. ის კი არა, რაჭველებს რომ უსაყვედურეს, ოსებს როგორ ვერ მოუარეთო და ამათ — რავა ვერ მოვუარეთ, ქვე შენი ჭირიმე, თერჯოლაზე დავდივართო. ანუ, ზოგს რომ კითხო, მოვლა გადაადგილებაა, გადაადგილება კი ფეხითაც შეიძლება — რკინის ჯოხით და რკინის ქალამნებით, ასევე, არსებობს გადაადგილების სხვა, თანამედროვე საშუალებებიც.

„ახალი ავტომობილის შესყიდვის საკითხს საზოგადოების მხრიდან ჯანსაღი აჟიოტაჟი მოჰყვა და მე გავითვალისწინე საზოგადოების აზრი“, — აღნიშნა მან. აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, ავტომობილი, რომლითაც ის გადაადგილდება, მწყობრიდან არის გამოსული. „გუშინ ქედის მუნიციპალიტეტში გავემგზავრე, თუმცა ავტომობილის გაუმართაობის გამო გზიდან დაბრუნება მომიხდა. ამასთან, უმაღლეს საბჭოში შეიქმნა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, ასევე ადამიანის უფლებების დაცვის კომისია და აღნიშნული სამსახურები საჭიროებენ ავტომობილით გადაადგილებას“, — განმარტა ბერიძემ“.

აქვე დავძენ, რომ ცხელ-ცხელი და ალალმართალი ამბებით კვლავ „ინტერპრესნიუსი“ მამარაგებს.

ზემოთ შემთხვევით არ მიხსენებია „გადაადგილების თანამედროვე საშუალებები“. სწორედ „გადაადგილების თანამედროვე საშუალებების“ არქონა იყო მიზეზი იმისა, რომ ავთანდილ ბერიძეს შუა გზიდან მოუხდა დაბრუნება. აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ ბერიძეს, რომელსაც ამ დრომდე 2012 წლის „ტოიოტა პრადო“ და „ტოიოტა კამრი“ ემსახურებოდა...“ — ესეც იმ ნიუსის ნაწილია.

განა შეიძლება, 2012 წლის „ტოიოტა პრადო“ გადაადგილების თანამედროვე საშუალებად ჩაითვალოს? მინდა დაგამშვიდოთ, ამისთვის კი ნიუსის კიდევ ერთ ნაწყვეტს გაახლებთ: „2012 წლის „ტოიოტა პრადოს“ ნაცვლად, ამავე მარკის 2014 წლის მოდელი მოემსახურება. სამსახურებრივი ავტომანქანის შეძენისთვის ჩატარებული ტენდერის მიხედვით, აღნიშნული ავტომანქანა 83.000 ლარი ღირს“.

გოიმი ყოფილა... რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ერთი ხელისუფლების შეცვლა მეორე ხელისუფლებით, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ერთი გოიმი მეორე გოიმით არ შეიცვლება.

გიგი უგულავას დავუბრუნდეთ. სასამართლო მსჯელობს, მოიპარა თუ არა გიგი უგულავამ მილიონები. მაგაზე მსჯელობა თემიდასთვის მიმინდვია, სულ არ ვენდობი, მაგრამ სხვა რა გზაა? მილიონები — მილიონებად, ვენაში მემკვიდრის დაბადება და დაბადების აღსანიშნავად ავსტრიაში დელეგაციით ჩასვლა კი ის არის, რასაც, ისევ და ისევ, გოიმობას ვუწოდებთ. ზუსტად მახსოვს, რომ იმ დელეგაციაში შედიოდა ნიკოლოზ რაჭველი (ასეთ რაჭველებს გაარტყას შხივანელი კოწიას ბუღამ) და შემიძლია ვივარაუდო, რომ საერთო-სახალხო დღესასწაულს არც გიორგი უშიკიშვილი (ყველა ეგეთ გიორგის გასცხო არმაგედონის ზანგმა) გამოაკლდებოდა — თუ მშობიარობას შოპენი უხდება, მისი წარმატებით დასრულების აღსანიშნავი ნადიმი მრავალჟამიერით ფასობს.

ეს საერთოდ, უგულავას ავსტრიული ჭინთვების გამო კი, წესით, უშიკიშვილსა და რაჭველს „კეკელა და მარო“ უნდა შეესრულებინათ.

რომ შევაჯამოთ, იქით გიგი უგულავა თავისი კეკელა მაროთი და აქეთ — ავთანდილ ბერიძე თავისი „ტოიოტა პრადოთი“.

ე, ბიჭო, მგონი გაირითმა, ხო იცი!

გასული კვირის დასაწყისში იყო, ვანო მერაბიშვილმა რომ განაცხადა — შუაღამისას საკნიდან გამიყვანეს, თავზე დამახურეს და დასაჩმორებლად გენპროკურორთან მიმიყვანესო, კვირის ბოლოს, მას შემდეგ, რაც იწილობიწილო-გიგილოს მერის უფლებამოსილება შეუჩერდა, ამ უკანასკნელმა დაიჩივლა, მოსამართლეზე ზეწოლა ხდებოდაო.

ეს ორი ქეისი (რა სიტყვა გავაძრე!!!) ერთმანეთს იმით ჰგავს, რომ ორივე შემთხვევაში საბრძოლო ყიჟინა დასცეს როგორც ასო-ებმა (არასამთავრობო ორგანიზაციებმა), ასევე — ასო-ებში დაფრთიანებულმა პოლიტიკოსებმა, როგორც ნაციონალური მოძრაობიდან, ასევე ქართული ოცნებიდან.

მა როგორ — მათ ხომ მენტალიტეტში ასოები უდევთ?

ყიჟინა დასცხეს, დიდმა მთებმა იწყეს დრეკა: „სასწრაფოდ უნდა ჩატარდეს გამოძიება!“

მაიცა და, რამდენჯერ ეგენი რაღაცას იტყვიან („კუჭი ამეშალა“, „ცხვირში ვარ გაჭედილი“, „თმაში ჭაღარა შემომერია“...) იმდენჯერ გამოძიება უნდა დაინიშნოს? აკი, გამომძიებლები არ გვყოფნისო? აკი, პროკურორების ნაკლებობააო? აკი, ანუსში ექსკრიმენტი გვახმებაო?

რაც მაგათ მარტო ბოლო ერთ თვეში გულისამაჩუყებელი განცხადებები აკეთეს ადამიანის უფლებებზე, იმ ცხრა წლის განმავლობაში მაგის მეათედი რომ ეთქვათ, იქნებ არც ისე ცუდად ყოფილიყო საქმე, როგორც არის და იქნებ უფრო უკეთესადაც, ვიდრე იქნება.

ავიღოთ პარლამენტი. „დეპუტატების მიერ პარლამენტისა და კომიტეტის სხდომების გაცდენებთან დაკავშირებით არსებული სანქციები, შესაძლოა, გადაიხედოს და დისციპლინური პასუხისმგებლობა გამკაცრდეს. როგორც პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ზურაბ აბაშიძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ამ თემაზე უმრავლესობაში მუშაობა მიმდინარეობს“, — იუწყებოდა ჩემი მეგობარი სააგენტო. როგორც მივხვდი, იმ დეპუტატებს, რომლებიც სხდომებს გააცდენენ, ფინანსური ან სხვა სახის (ტაჯგანალებით ცემა, მოპირულ ხმლებზე გადახტომა) სანქციები დაეკისრებათ.

კი, მაგრამ, ძალიან მაინტერესებს, რა აკლდება ქვეყანას იმით, რომ საპარლამენტო უმრავლესობისა და მისივე უმცირესობის რამდენიმე კვერცხუჯრედი სხდომებს აცდენს? პირიქით, მეგობრებო, პირიქით! მე თუ მკითხავ, ეგეთები დასწრებისთვის უნდა დააჯარიმო, გაცდენისთვის კი — მადლობა უთხრა, ფერადი ტელევიზორით ან ორკასეტიანი მაგნიტოფონით დააჯილდოვო, ანაც, მარტივად — პრემია უნდა გამოუწერო. პრემიებზე ცოტა ქვემოთ, მანამდე კი, კვლავ საქმიანი სააგენტო და უსაქმური პარლამენტი.

დავით უსუფაშვილი წინააღმდეგი არ იქნება, დეპუტატები გინებისთვის პარლამენტიდან და პარტიებიდან გაირიცხონ, თუმცა ასეთ შემთხვევაში უსუფაშვილი ელოდება, რომ პარლამენტში, შესაძლოა, აღარავინ დარჩეს. „არ ვიქნებოდი წინააღმდეგი, თუკი დეპუტატებისგან სადმე გინება დაგიფიქსირებიათ, ის გარიცხული იყოს პარლამენტიდან და პარტიებიდან, მაგრამ არ ვიცი, ასეთ შემთხვევაში რამდენი კაცი დარჩება პარლამენტში“, — განუცხადა ჟურნალისტებს დავით უსუფაშვილმა.

ისა და, ბატონო დავით, მაგ სათვალიდან და გინდაც სათვალის ზემოდან კარგად გადახედეთ პარლამენტს და განა რამდენ კაცს დათვლით? მერწმუნეთ, ჯონ სილვერის ხელებისა და ფეხების თითები გეყოფათ. ჯონ სილვერს კი, გეხსომებათ, ერთ-ერთი ფეხი საერთოდ არ ჰქონდა.

პრემიები-მეთქი... თბილისის საკრებულო ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ გავრცელებულ განცხადებას ეხმაურება, რომელიც თბილისის საკრებულოს მიერ გაღებულ სხვადასხვა ხარჯებს უკავშირდება.

„უნდა აღინიშნოს, რომ ობიექტური მიდგომის შემთხვევაში ადვილად შესამჩნევია, რომ არსებობს ფუნდამენტური სხვაობა ორ რეალობას შორის. კერძოდ, ნაციონალური მოძრაობის უმრავლესობაში ყოფნის პერიოდში, მივლინებებსა და სხვა ამოცანებისთვის იხარჯებოდა სამჯერ და ოთხჯერ მეტი თანხა, რის დასტურადაც გამოდგება სტატისტიკა...“

სტატისტიკა კი, ასეთია: იანვარ-ოქტომბერში თბილისის საკრებულოს წევრებზე და აპარატის თანამშრომლებზე ერთობლივად გაცემული პრემიების საერთო რაოდენობამ შეადგინა 1 707 631 ლარი, საიდანაც საკრებულოს წევრებზე გაცემულია 439 276 ლარი, ხოლო აპარატის თანამშრომლებზე 1 268 355 ლარი.2013 წლის 1 იანვრიდან 15 ნოემბრის ჩათვლით საკრებულოს წევრების მიერ ქვეყნის გარეთ სამუშაო ვიზიტებთან დაკავშირებით სამივლინებო ხარჯებმა შეადგინა 203 445 ლარი. 2012-2013 წლების განმავლობაში თბილისის საკრებულომ 28 ავტომობილი შეისყიდა, რომელთა საერთო ღირებულება 915 725 ლარს შეადგენს. დოკუმენტაციით ირკვევა, რომ ყველაზე დიდი თანხა — 54 850 ლარი გადახდილია 2011 წელს გამოშვებული Mitsubishi I200 მოდელის ავტომობილში. თბილისის საკრებულოს 2013 წელს საწვავის ხარჯების გეგმა შეადგენს 352 100 ლარს. აღნიშნული თანხა კიდევ უფრო გაზრდილია 2014 წლის გეგმით და განისაზღვრა 432 000 ლარით.

აეეეე... იგულავეთ, დებო და ძმებო — „ვაინა ვსიო რავნო ვსიო სპიშეტ“!

და აი კიდევ: „თბილისის საკრებულომ 2013 წლის ბიუჯეტში ცვლილება დაამტკიცა, რომლითაც მერიის მიერ დაფუძნებულ სიპ-ებში, აიპ-ისა და შპს-ში დასაქმებული ოცი ათასამდე ადამიანი საახალწლოდ მეცამეტე ხელფასს მიიღებს. ამ საკითხის განხილვა სხდომაზე დახურულ რეჟიმში მიმდინარეობდა და მედია არ ესწრებოდა. საკითხის დამტკიცების შემდეგ სხდომიდან გამოსულმა თბილისის მერის მოადგილემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ საკითხი სხდომაზე ერთხმად მიიღეს, რისთვისაც საკრებულოს წევრებს მადლობა გადაუხადა“.

რატომ არ ესწრებოდა მედია? რატომ და, კოჰაბიტაციური სექსის შესახებ არავინ უნდა იცოდეს, ეს არის ორი პარტნიორის პირადი საქმე.

ზემოთ მინდოდა მეკითხა, თუ ხედავთ რამე განსხვავებას ნაცებსა და მეოცნებეებს შორის-მეთქი, თვითონვე ვაპირებდი მეპასუხა — „არავითარი განსხვავება“, მაგრამ ამ ბოლო ამბავმა რამსები ამირია, ჩამაფიქრა და განსხვავება მაპოვნინა — ნაცები მხოლოდ თვითონ გულაობდნენ, მეოცნებეები კი, თვითონაც გულაობენ და ნაცებსაც აგულავებენ.

აი, სად და ვისთვის უნდა ეთქვა სოსო ჯაჭვლიანს თავისი ფრთიანი ფრაზა „ნუ ბლატაობ, შე ჩმორო“ ანუ „ნუ ბლატაობთ, თქვე ჩმორებო“, მან კი მხოლოდ გია ბარამიძეს უთხრა და, საერთოდაც, თუ ჩმორია, მიაჩმორე და ნუ აბლატავებ!!!

ნუ აბლატავებ, თორემ აი — „თბილისის და კიევის შემდეგ, ნიუ იორკი არის ჩემთვის ყველაზე ახლობელი და მშობლიური ქალაქი. მაქვს ძალიან კარგი და სერიოზული წინადადება წამყვანი ამერიკული უნივერსიტეტისგან. როდესაც ამ პროგრამაზე მუშაობას დავასრულებ, რა თქმა უნდა, დავბრუნდები საქართველოში და ჩავერთვები პროცესებში“, — განაცხადა იმ მართლა ჩმორმა, რამდენიმე წლის წინ რომ ამბობდა, ჩემი მეორე საპრეზიდენტო ვადის დასასრულს აფხაზეთში დავბრუნდებითო.

***დასასრული მე-3 გვერდზე***



# უფლებაახდილი უგულავას ანატომია და ნაციონალური სევდა

## ორი ვერსია, რის გამოც გიგი უგულავას მერის უფლებამოსილება შეუჩერეს

გიორგი გიორგაძე

**ნაციონალური გული სევდით აივსო — მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ, წლის ყველაზე გრძელ ღამეს ანუ 22 დეკემბერს, 01:00 საათზე გიგი უგულავას მერის უფლებამოსილება შეუწყვიტა, დედაქალაქის თავი, დიდი ალბათობით, სევდია უგრეხელიძე გახდება. ყოველ შემთხვევაში, კანონში, რომელიც თბილისის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებთან დაკავშირებით საკითხებს არეგულირებს, ნათქვამია, რომ მერის დროებით არყოფნის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მის მოვალეობას პირველი მოადგილე — ვიცე-მერი ასრულებს. რა ხდება იმ შემთხვევაში, როცა ქალაქის პირველი პირის მიმართ სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება? — ამაზე კანონი არაფერს ამბობს.**

ისე, ჩვენთვის რომ ვთქვათ, უგულავასთვის მერის უფლებამოსილების შეწყვეტა ერთობ უცნაურად მოხდა: საქალაქო სასამართლოს მოსამართლე დალი მეტრეველმა არჩეულ მერს ჯერ 50-ათასიანი გირაო შეუფარდა, რომელიც 30 დღის ვადაში უნდა გადაეხადა და შემდეგი სხდომა 2014 წლის თებერვლის დასაწყისისთვის ჩანიშნა. ბრალდებული მერის ადვოკატები და გულშემატკივრები სახლებში გულდამშვიდებულნი წავიდნენ, მაგრამ შუაღამისას, მოსამართლე დალი მეტრეველის თანაშემწეს ადვოკატისთვის ტელეფონით უცნობებია — გიგი მერი აღარააო. ნაციონალები ვენებს იხსნიან, მეტრეველმა ხელისუფლების ზეწოლას ვერ გაუძლო და „დამატებითი განაჩენი“ ამიტომაც გამოიტანაო. უფლებაახდილი უგულავა ზეწოლაში, კონკრეტულად, შსს-ს გენინსპექციის უფროსს, ზვიად ჯანყარაშვილს ადანაშაულებს. ეშმაკმა უწყის, მართლა ასე იყო თუ არა, მაგრამ „მეოცნებეებს“ თუ დავუჯერებთ, ზემოხსენებული მოსამართლე, თავის დროზე, თურმე, ნაცების დავალებებს ასრულებდა. „ფეისბუქში“ ისიც დაწერეს, რომ 14 წლის გვანცა ყუფარაძე სწორედ თემიდას ამ მსახურმა „გააციმბირა“...

უდევს თუ არა უგულავასთვის უფლებამოსილების შეწყვეტას პოლიტიკური სარჩული? — ამ კითხვაზე ორი სავარაუდო პასუხია.

### პასუხი პირველი

უგულავა სააკაშვილის კარზე, როგორც ამბობენ, ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფიგურა იყო და ერთხანობას, რუხი კარდინალის ფუნქციასაც ასრულებდა. პრინციპში, ამაში გასაკვირიც არაფერია, რამეთუ უგულავა-სააკაშვილის მეგობრობა ათეულ წელზე მეტს ითვლის: ჯერ კიდევ მაშინ, როცა მიხეილი მოქკავშირის ერთ-ერთი ლიდერი იყო და ვაკის მაჟორიტარობისთვის იბრძოდა, გიგი უგულავა, როგორც ჟურნალისტი, მისი „აპეკუნი“ გახლდათ. ალბათ, იმის გახსენებაც ღირს, რომ სწორედ ამ საარჩევნო კამპანიის დროს, ვაკელებს მიშა ედუარდ შევარდნაძემ წარუდგინა და იხუმრა — აი, მომავალი პრეზიდენტიო.

ბაბუს წინასწარმეტყველება ახდა — მიშა პრეზიდენტი გახდა, უგულავა კი ჯერ უშიშროების მინისტრის მოადგილედ დაინიშნა, შემდეგ სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორად. 2005 წელს კი, როცა ზურაბ ჭიაბერაშვილი, პრაქტიკულად, საათების სკანდალს შეეწირა, თბილისის მერად მოგვევლინა.

თითქმის დადასტურებული ინფორმაციით, უგულავა წლების განმავლობაში, ნაციონალურ მოძრაობაში ე.წ. მედიის მიმართულებას კურირებდა ანუ, როგორც ამბობენ, „რუსთავი 2“-ისა და „იმედის“ საინფორმაციო პოლიტიკას, გიგა ბოკერიასთან ერთად, განსაზღვრავდა. ნაციონალების მმართველობისას „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ კონტროლი თურმე აწგანსვენებული ზურაბ ჟვანიას ყოფილ თანაგუნდელსა და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს, დავით ტყეშელაშვილს ებარა.

საერთოდ, ითვლება, რომ უგულავა ბოკერია-მერაბიშვილის კლანის ერთ-ერთი „მოზგია“ და ყველა ნაციონალური ნაბიჯი მასთან შეთანხმებით იდგმება. 2008 წლის აგვისტოს 5-დღიან ომშიც უგულავა ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა იყო — როგორც ამბობენ, ლოჯისტიკა ებარა.

გიგი უგულავას მერული ცხოვრება ერთობ მშფოთვარე და ბოჰემური გახლდათ — მერიის ბიუჯეტიდან სტრიპტიზკლუბებში გადარიცხულ ფულზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მისი მეუღლის, ლელა კილაძის უცხოეთში მშობიარობა, მოარული ხმით, დედაქალაქის მოსახლეობას ძალიან ძვირი დაუჯდა. ისე, ამბობენ, რომ მედიის მართვაში ქალბატონი კილაძეც ერეოდა — გასართობი სატელევიზიო შოუების სტუმართა ვინაობა, გაგიკვირდებათ და, თურმე, მასთან თანხმდებოდა. ჟურნალისტები პირად საუბრებში ასეთ ამბავსაც ჰყვებიან: როცა გიგი სადმე, ვთქვათ, რომელიმე ობიექტის გახსნაზე მიდიოდა, „ვიღაც ტიპები“ ჟურნალისტებს არეპეტიციებდნენ, რომ გამოჩნდებოდა, მიკროფონი რომელი მხრიდან მიეშვირათ...

ასე და ამგვარად, ერთ დროს არცთუ ცნობილი ჟურნალისტი თბილისის ამირად გადაიქცა და, როგორც იტყვიან, ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად, ამიტომაც, არც ბილწსიტყვაობას ერიდებოდა — 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, გიგიმ „ოცნების“ მთავრობაზე განაცხადა, ჩუკენობსო. ახლა კი, ისეთი პირი უჩანს, ჩუკენობა უკან ბუმერანგივით დაუბრუნდება. საერთოდ, ბოლო ერთი წელი უგულავა „ოცნებას“ ზომაზე მეტად ეთავხედებოდა — თავხედობაა, აბა, რა არის, მთავრობის სხდომაზე დაუპატიჟებლად რომ გამოცხადდები და ლამის მამისტოლა ადამიანს სულ ხელებისქნევით დაელაპარაკები?! აი, ჯერ კიდევ მაშინ ითქვა, რომ უგულავას „გულავი“ სევდიანად დამთავრდებოდა.

რაც შეეხება ზემოდასმული შეკითხვის პირველ სავარაუდო პასუხს: ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები კარსაა მომდგარი. გიგი უგულავა არც ბაჩო ახალაიაა, არც ვანო მერაბიშვილი და არც სხვა რომელიმე ნაციონალი — მას საზოგადოებაში თავისი სიტყვა ეთქმის, მით უმეტეს იმ ფონზე, როცა „ოცნებამ“ თბილისის მერობის კანდიდატად დავით ნარმანია დაასახელა. უგულავა თბილისს ლამის 7 წელი მართავდა, შესაბამისად, ყველაფერი, მათ შორის თვითმმართველობის არჩევნების ღია თუ დახურული ხვრელები — პედაგოგების, კორპუსის ექსთავმჯდომარეებისა თუ სხვა საჭირო ხალხის მართვა კარგად იცის. ამ მხრივ სევდია უგრეხელიძე, ცხადია, დილეტანტია, თან ბოლოს და ბოლოს, დიაცია და, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, შესაძლოა, ზეწოლას ვერ გაუძლოს ან გადაბირების ცდუნებამ სძლიოს.

ერთი სიტყვით, გიგი უგულავასთვის მერის უფლებამოსილების შეჩერებით „ოცნებამ“ ზედმეტი თავისტკივილისგან თავი დაიზღვია, თუმცა ყველაფერი არ დამთავრებულა — სულაც არაა გამორიცხული, ნაციონალურმა მოძრაობამ სარეზერვო გეგმა აამუშაოს და თბილისის მერის კანდიდატად ისეთი ფიგურა დაასახელოს, რომელიც ყველა პოლიტიკური ორიენტაციის თბილისელისთვის მისაღები იქნება.

ისე, ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ, როცა გამოძიება უგულავას პერსონით პირველად დაინტერესდა, ითქვა, რომ სააკაშვილის გარემოცვა გიგის დაჭერაზე ოცნებობდა — თუნდაც საერთაშორისო ასპარეზზე, იმაზე კარგი კოზირი რა უნდა იყოს, რომ მთავარი ოპოზიციური პარტიის მერობის კანდიდატი საარჩევნო კამპანიას სატუსაღოდან აწარმოებს? ამ ლოგიკით, ნაციონალებისთვის გიგის დაჭერა ისეთი საახალწლო საჩუქარია, რომელზეც ვერც იოცნებებდნენ — 2014 წლის ივლისში თვითმმართველობის არჩევნები უნდა ჩატარდეს და აწი, ნახეთ, საერთაშორისო ტრიბუნებიდან ნაციონალები როგორ ბრტყელ-ბრტყელ განცხადებებს გააკეთებენ — „ოცნებამ“ ქვეყანაში ნამდვილი დიქტატურა დაამყარაო. ისე, მგონი, არ არსებობს პრეცედენტი, რომელიმე ქვეყნის სასამართლოს არჩეული თანამდებობის პირისთვის უფლებამოსილება შეეჩერებინა.

### პასუხი მეორე

პროკურატურის მიერ გიგი უგულავას არამოწმის სტატუსით დაკითხვაზე დაბარებას, ტუსაღ ვანო მერაბიშვილის სკანდალური განცხადება უსწრებდა, რომლის თანახმადაც, მერაბიშვილი საკნიდან გამოიყვანეს და მთავარ პროკურატურაში წაიყვანეს, სადაც ოთარ ფარცხალაძემ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმესა და მიხეილ სააკაშვილის საბანკო ანგარიშებზე ინფორმაციები მოსთხოვა.

დავუშვათ ვერსია, რომ ყველაფერი ეს „ნაცპიარშიკების“ მიერ დაგეგმილი სცენარია, მაგრამ რა შუაშია აქ გიგი უგულავა? თუ საქმე მართლაც პიართან გვაქვს, მაშინ უგულავა შუაში კი არა, თავშია ანუ პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა იეჭვა, რომ ზემოხსენებული სკანდალური განცხადებით მერაბიშვილმა გარკვეული მესიჯი მიხეილ სააკაშვილს გაუგზავნა, რომელმაც მუშაობა აშშ-ს ერთ-ერთ უნივერსიტეტში დაიწყო. ჯერ კიდევ 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნებამდე კულუარებში ამბობდნენ, რომ მერაბიშვილ-ბოკერია-უგულავას საძმო სააკაშვილისგან გამიჯვნას ცდილობდა. სულაც არაა გამორიცხული, გამიჯვნის პროცესი ახლაც გრძელდებოდეს — ვითომ, რა დაშავდება, ბობოლა ნაციონალებმა, რომლებიც წლების განმავლობაში ქვეყანას თავიანთი ხუშტურებით მართავდნენ, ხელები დაიბანონ და ყველაფერი სააკაშვილს დააბრალონ? იმის დამტკიცება, რომ ქუჩაში ათეულობით უდანაშაულო ადამიანის ჩაცხრილვის ან თუნდაც ციხეებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ბრძანება სააკაშვილმა გასცა, ცხადია, გაჭირდება. სამაგიეროდ, არ გაჭირდება კორუფციის დადასტურება. მაგალითად, სადაა გარანტია, რომ უფლებააყრილმა უგულავამ, რომელიც დღეს წამებულის მანტიის მოსხმას ცდილობს, გამოძიებასთან ფარულად ითანამშრომლოს და სააკაშვილის კორუფციული სქემები გასცეს?

ასეა თუ ისე, უგულავას გულზე დიდი ნაციონალური სევდა აწევს. ამასობაში კი, „ოცნება“ ორ კურდღელს იჭერს — თბილისს ოდიოზური უგულავასგან ათავისუფლებს და, პარალელურად, ხელი შესაძლოა, სააკაშვილის მამხილებელ დოკუმენტებსაც გამოკრას.

**P.S. როგორც სხვა ყველაფერი, ესეც, ცხადია, გაივლის და... თბილისის ისტორიაში ერთი სევდიანი მმართველიც შევა... ისე, ცხოვრება ხან მშვენიერი და ხანაც უცნაურია — სევდია უგრეხელიძის ძმა, მინდია უგრეხელიძე, დისგან განსხვავებით, ნაციონალებს დასანახად ვერასოდეს იტანდა...**

## ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში

# კეკელა და მაროთი, ტოიოტა პრადოთი

*მე-2 გვერდიდან*

გადავქექე, გადმოვქექე, ნიუსებში ვიძრომიალე, თვალები დავითხარე... მინდოდა, რამე დადებით-ოპტიმისტური მენახა, რაც უნდა იყოს, ახალი წელი მოდის. ვეძებე, ვნახე, მთლად ისეთი ვერა, მაგრამ მაინც.

„საქართველოს პარლამენტის წევრი, ნაძალადევის მაჟორიტარი დეპუტატი თამარ კორძაია სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდება. შეხვედრის ორგანიზატორი და მხარდამჭერია ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI). როგორც „ინტერპრესნიუსს“ შეხვედრის ორგანიზატორებმა აცნობეს, შეხვედრის მიზანია, ნაძალადევის რაიონში 9-თვიანი საქმიანობის შეჯერება და გამოვლენილ პრობლემებზე მსჯელობა. „მოსახლეობასთან აქტიური შეხვედრების შემდეგ გამოვლინდა, რომ ნაძალადევის მოსახლეობა მხარდაჭერას საჭიროებს შემდეგ სფეროში: საკუთრება, სოციალური, კომუნალური, ჯანდაცვის, საგანმანათლებლო და სხვ. თითოეული მათგანზე მუშაობის პროცესში განსაკუთრებით დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ შესაბამის თემატიკაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს“, — განაცხადა თამარ კორძაიამ. მისივე თქმით, იგი აქტიურად თანამშრომლობს კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევის ინსტიტუტთან. თანამშრომლობის მიზანია, ნაძალადევის რაიონში გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმების ხელშეწყობა და გაძლიერება.

სამუშაო შეხვედრის დასასრულს, დამატებით გამოიკვეთება ის კონკრეტული თემები, რომლებზეც პარლამენტის წევრსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა გაგრძელდება“.

დიდია ციტატა, მაგრამ მისი სრულად მოყვანის ცდუნებაც დიდი იყო. ისე, მართლა ხომ მაგარია? გოგომ გადაწყვიტა ნახალოვკელების პრობლემებზე საუბარი, მიმართა ნავაროს, შეხვდა ენჯეოშნიკებს და... აღმოჩნდა, რომ 9 თვეში მხოლოდ ეს გაურკვევია — „ნაძალადევის მოსახლეობა მხარდაჭერას საჭიროებს შემდეგ სფეროში: საკუთრება, სოციალური, კომუნალური, ჯანდაცვის, საგანმანათლებლო და სხვ“. ასევე — აქტიურად თანამშრომლობს კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევის ინსტიტუტთან. თანამშრომლობის მიზანია, ნაძალადევის რაიონში გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმების ხელშეწყობა და გაძლიერება.

ნაცებმა მატროსოვის ციხესთან სადღეღამისო მორიგეობა დააწესეს, გიგი უგულავა პროკურატურაში ტაშით შეაცილეს, საქმიანობის საგანგებო რეჟიმზე გადავიდნენ, აკო მინაშვილის სიდედრმა თმა შეიღება, გიორგი კანდელაკმა წარბების კორექტირება გაიკეთა... ვინ აბლატავებს ამ ჩმორებს?

„სასჯელაღსრულების 17 დაწესებულების ყოფილი დირექტორის, ლაშა ბრეგვაძის ცემაში ბრალდებული წყალბურთელები წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ გრძნობენ“, — შემატყობინა მოძმე-მოამაგე სააგენტომ.

გენაცვალეთ, ძმებო.

**ძ.მ. (ძაან მაგარია) მხოლოდ რამდენიმე წამით მოაკითხა ფიქრის უნარმა, ეფემია წინამძღვარი და მისი ნათქვამი მოაგონდა: „ბოლომდე დამწვარი სანთლის ნაღვენთი თავისთავადაც მშვენიერებაა და იმ მშვენიერებასაც გვაგონებს, რაც რბილად მოციმციმე, მაგრამ წყვდიადის შემანგრეველი ძალა იყო“.**

***(ჭაბუა ამირეჯიბი, „დათა თუთაშხია“)***

# ეკა ბესელია ნაციონალთა ბრალდებებს პასუხობს



რუსუდან შელია
557-100-768

**მას შემდეგ, რაც გიგი უგულავას დაკავების მოთხოვნის შესახებ პროკურატურის გადაწყვეტილება დააანონსა, ნაციონალური მოძრაობა პროკურატურისა და მმართველი გუნდის პოლიტიკურ შეთანხმებაზე ალაპარაკდა. საკუთარ განცხადებას ერთ-ერთ სააგენტოში ამოკითხული არასწორი ინფორმაციით ამართლებს, თუმცა არ მალავს, რომ სამართლიანობის აღდგენის სურვილი აქვს. ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია „ვერსიასთან“ მის წინააღმდეგ გაჟღერებულ ბრალდებებს პასუხობს და პროკურატურას, გახმაურებული საქმეების გამოძიების რეკომენდაციით, კიდევ ერთხელ მიმართავს:**

— გაუგებარია, ნაციონალები რამ გააკვირვა, როცა ვთქვი, როგორც ვიცი, პროკურატურა უგულავას წინააღმდეგ აღმკვეთი ღონისძიების სახით, პატიმრობას ითხოვს-მეთქი?! ეს განცხადება ერთ-ერთი სააგენტოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გავაკეთე, თუმცა მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ჟურნალისტი შეცდა და პროკურატურას აღნიშნული მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვა ჯერ გაგზავნილი არ ჰქონდა. რატომ არ მაქვს უფლება, პირადი მოსაზრება და ვარაუდი გამოვთქვა? გიგი უგულავას 40 მილიონზე მეტი თანხის მითვისებას ედავებიან და კანონით, პროკურატურას მისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების უფლება აბსოლუტურად სამართლიანად ჰქონდა. გიგი უგულავას პატიმრობის მოთხოვნა მათ უკვირთ, ვინც ერთი ქილა მურაბისა თუ ათი ლარის ქურდობისთვის ციხეში ადამიანის წლობით გამოკეტვის მომხრე იყო?! მოგვიანებით ისიც განვმარტე, რომ პარლამენტი პროკურატურის საქმიანობაში არ ერევა.

**— არადა, ამ განმარტებამდე ამტკიცებდით, პროკურატურა პარლამენტის დავალებებს ასრულებსო. რამდენიმე დღის განმავლობაში თქვენი პოზიციების სწრაფ ცვლილებებს რა ახსნა აქვს?**

— ეს განცხადება პროკურატურის ზოგად დისკრეციასთან დაკავშირებით გავაკეთე. კერძოდ, პარლამენტის ბიურომ სასესიო კვირის დასასრულს დადო დასკვნა, სადაც 2004-2012 წლებში ადამიანის უფლებების მდგომარეობა შეფასდა — იქ ასახულია ის მძიმე წლები, როცა სააკაშვილი და მისი გუნდი ადამიანის ძირითად ფუნდამენტურ უფლებებს სისტემურად არღვევდნენ. აღნიშნულ დასკვნას აღმასრულებელი ხელისუფლების, მათ შორის პროკურატურის მიმართ რეკომენდაციაც ახლავს და ხაზგასმითაა მითითებული, რომ გირგვლიანის, რობაქიძის, გამცემლიძის, 26 მაისის დარბევისა და სხვა გახმაურებული საქმეები დაუყოვნებლივ გამოსაძიებელია. ჩემს განცხადებაშიც სწორედ ამ რეკომენდაციებს ვგულისხმობდი.

**— ამასთან გიგი უგულავას საქმე რა კავშირშია — ახალი ბრალის წაყენება პარლამენტის მოთხოვნა იყო?**

— რა თქმა უნდა, არა. პარლამენტი კანონებს იღებს, რომლითაც ქვეყანა ცხოვრობს, ამიტომ მისი რეკომენდაციებიც უნდა შესრულდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქაოსს მივიღებთ. ბუნებრივია, პროკურატურამ ყველა იმ მაღალჩინოსნის საქმე უნდა გამოიკვლიოს, რომელმაც სახელმწიფო ბიუჯეტი და მოქალაქეები აზარალა. პროკურატურა საკმაოდ გააქტიურდა და ის ტემპი, რომელიც ახალი ხელმძღვანელის პირობებში აიღო, სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნას ეხმაურება.

**— ნაციონალების დაკითხვაზე დაბარების გარდა, პროკურორი საზოგადოების იმ ნაწილის მოთხოვნას რატომ არ ითვალისწინებს, რომელიც ვანო მერაბიშვილის განცხადების გამოძიებას ითხოვს?**

— არ მჯერა იმ ისტორიის, რომელსაც მერაბიშვილი საკმაოდ მონდომებით აღწერს და არდაჯერების რეალური საფუძველიც მაქვს — კარგად ვიცი, ეს ადამიანი ცხრა წლის განმავლობაში როგორ საქმიანობდა.

**— მერაბიშვილისადმი თქვენი დამოკიდებულება საზოგადოებამაც უნდა გაიზიაროს? ისე, თუ მერაბიშვილი ცრუობს, კადრების გასაჯაროება „ოცნებისთვის“, წესით, პოლიტიკურად მომგებიანი უნდა იყოს.**

— ჩემი პოზიცია ასეთია: სტატუსის მიუხედავად, როცა პატიმარი მსგავს ბრალდებებს აჟღერებს, ყველა მითითებული ფაქტის შემოწმება საჭიროა. საზოგადოებას არ უნდა დარჩეს პასუხგაუცემელი კითხვა, რა მოხდა სინამდვილეში და არც ოპონენტებს უნდა მივცეთ ამ საკითხით მანიპულირების საშუალება. გაუგებარია, რატომ არ გააკეთა ამ ფაქტის მეორე დღესვე ვანო მერაბიშვილმა განცხადება და სამი დღე რას ელოდებოდა? რადგანაც ამ საქმეში მთავარი პროკურორის სახელი ფიგურირებს, ვფიქრობ, შიდამოკვლევა სასჯელაღსრულების სამინისტრომ უნდა ჩაატაროს... ეს განცხადება მერაბიშვილმა სასამართლო სხდომაზე გააკეთა, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსამართლესაც აქვს შესაძლებლობა, ამ საქმეს მსვლელობა მისცეს და ფაქტი სასამართლო კონტროლის ქვეშ მოაქციოს.

**— ყოფილი პრემიერის სკანდალური განცხადების შემდეგ, პროკურატურაში ნაციონალური მოძრაობის რამდენიმე წევრი დაიბარეს. ეს მთავარი პროკურორის მუქარის შესრულებაა, რაზეც ნაციონალების გენერალური მდივანი საუბრობდა თუ უბრალო დამთხვევაა?**

— იმაზე საუბარი, რომ ხელისუფლება პოლიტიკურ დევნას ახორციელებს, აბსურდია. როგორც უკვე აღვნიშნე, პროკურატურა ბევრად ეფექტური გახდა და პროცესებიც საკმაოდ დინამიურად მიდის. მოგეხსენებათ, პარლამენტს წინა ხელისუფლებისგან დაზარალებულმა 20 ათასმა ადამიანმა ნაციონალური მოძრაობის მმართველობის შეფასების თხოვნით მიმართა. მიმაჩნია, რომ ხელისუფლებამ დაზარალებულ მოქალაქეთა თხოვნა უყურადღებოდ არ უნდა დატოვოს, თუმცა ამისთვის წინაპირობის შექმნა საკმაოდ რთულია.

**— ხელისუფლებამ პატიმრებისთვის მიცემული პირობა, რაც მართლმსაჯულების დამდგენი კომისიის შექმნას ითვალისწინებდა, არ შეასრულა. დაზარალებული მოქალაქეების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად სხვა რა მექანიზმი გაქვთ?**

— ამ მიმართულებით მუშაობა არ შეწყვეტილა. მართლმსაჯულების დამდგენი კომისია დაერქმევა თუ სხვა რამ, სახელს მნიშვნელობა არ აქვს, მთავარი შინაარსია. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ცხრა წლის განმავლობაში უსამართლოდ მსჯავრდებული 200 ათასზე მეტი ადამიანის განაჩენები ერთ დღეში ვერ გადაიხედება, მსგავს საკითხებს ღრმა ანალიზი სჭირდება. პარლამენტმა ამ მიმართულებით მაქსიმუმი გააკეთა — პოლიტპატიმრები გავათავისუფლეთ, ამნისტიის კანონი მივიღეთ, პარალელურად, ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისია შეიქმნა, რომელიც საკმაოდ ეფექტურად მუშაობს. პირველ რიგში, საზოგადოებრივ კონსენსუსს უნდა მივაღწიოთ, რა გზით გადავხედოთ მსჯავრდებულების საქმეებს. არ დაგიმალავთ, ამ პროცესს, პირადად, მოუთმენლად ველი.

**— თქვენი შვილის განაჩენის გადახედვასაც ითხოვთ?**

— რა თქმა უნდა, ჩემი ოჯახის წევრებიც უკანონო განაჩენის მსხვერპლნი არიან, ამიტომ საქმის გადახედვის მოთხოვნა მაქვს და იმ ადამიანების, ვისაც ეს სურვილი ხელისუფლების შეცვლის დღიდან ამოძრავებს, კარგად მესმის...



# დიდი ფულაობა თბილისის საკრებულოში

## რა დამსახურებისთვის აიღეს კოლოსალური პრემიები „ოცნებაში“ პორტირებულმა ნაციონალებმა

რუსუდან შელია
557-100-768

თბილისის საკრებულოს მორიგ სკანდალში გაეხვია — ჯერ იყო და, თბილისობის დღესასწაულზე ირაკლი შიხიაშვილმა, მისმა მოადგილეებმა და აპარატის თანამშრომლებმა რესტორან „წისქვილში“, სულ რაღაც, 7 ათას ლარად ივახშმეს, ახლა კი, როგორც გაირკვა, სოლიდური პრემიებიც აუღიათ. არასამთავრობო ორგანიზაცია IDFI-ის მონაცემებით 2013 წელს, 10 თვის განმავლობაში, თბილისის საკრებულოს წევრებსა და აპარატის თანამშრომლებზე ერთობლივად გაცემული პრემიების საერთო რაოდენობამ 1 707 631 ლარი შეადგინა — აპარატის თანამშრომლებზე 1 268 355 ლარი, საკრებულოს წევრებზე კი 439 276 ლარი გაიცა. აღსანიშნავია, რომ 2013 წლის იანვარ-ივლისის პერიოდში პრემიები საკრებულოს მხოლოდ 23 წევრზე გაიცემოდა, საკრებულოს ახალი თავმჯდომარის, ირაკლი შიხიაშვილის არჩევის შემდეგ კი, აგვისტოდან ოქტომბრის ჩათვლით, ყოველთვიურად პრემია საკრებულოს 31 წევრს ერიცხებოდა. თბილისის საკრებულოს წევრებიდან ყველაზე მაღალი პრემია — 19 095-19 095 ლარი ქრისტიან-დემოკრატებიდან „ქართულ ოცნებაში“ პორტირებულმა ჯაბა სამუშიამ და საკრებულოს თავმჯდომარის მეორე მოადგილემ, გიორგი ტყემალაძემ აიღეს. საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი 18 684 ლარით „დასაჩუქრდა“, ზაზა გაბუნია კი — 17 020 ლარით. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: პრემია, ალბათ, კარგი მუშაობისთვის, ზაალ სამადაშვილსაც ერგო, რომელიც ირაკლი შიხიაშვილმა საკრებულოს თავმჯდომარეობიდან სკანდალური ბრალდებებით გადააყენა. IDFI-ის მონაცემებით, სამადაშვილმა ხელფასზე დანამატის სახით, სექტემბერში 780, ოქტომბერში კი 2 600 ლარი მიიღო. ჯამში, საკრებულოს ექსთავმჯდომარეს 2013 წელს 16 832 ლარის პრემია დაერიცხა.

საკრებულოს „ოცნებელმა“ ხელმძღვანელობამ თბილისის წინაშე გაწეული შრომა ნაციონალური მოძრაობის დანარჩენ წევრებსაც გულუხვად დაუფასა. საკრებულოს უმრავლესობაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ, ნაციონალმა მამუკა ახვლედიანმა, აგვისტოში, 3 380, სექტემბერში — 780, ოქტომბერში კი 2 600 ლარი მიიღო, ჯამში, ახვლედიანს 2013 წელს 17 970 ლარის პრემია გამოუწერეს.

საკრებულოში გაცემული პრემიების არასრული ჩამონათვალი ასეთია: თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი მუსხელიშვილი — 17 930 ლარი; რესპუბლიკური პარტიის წევრი გულიკო ზუმბაძე — 17 020; ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წევრი, ამჟამად საკრებულოში „ქართული ოცნების“ ერთგული მხარდამჭერი დავით ჯინჭარაძე — 17 020 ლარი; ნაციონალური მოძრაობის ფრაქციის ყოფილი თავმჯდომარე კონსტანტინე იონათამიშვილი — 16 240; გლდანის მაჟორიტარი ნიკოლოზ ხაჩირაშვილი — 9 110; ახალი მემარჯვენეების ერთ-ერთი ლიდერი მამუკა კაციტაძე — 6 760; „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა — 6 670 ლარი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, მისმა მოადგილეებმა და დეპუტატებმა, „საპრემიერო ნებივრობასთან“ ერთად, მოხმარებული საწვავის რაოდენობაც, წინა წლებთან შედარებით, თვალშისაცემად გაიზარდეს. დედაქალაქის ოფიციალურმა ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფაქტი ნაციონალური მოძრაობის მიერ ფრაქციების გაზრდას დაუკავშირა. არასამთავრობო ორგანიზაციისა და საზოგადოების კითხვებს თბილისის საკრებულომ ოფიციალური განცხადებით უპასუხა: **„ობიექტური მიდგომის შემთხვევაში, ადვილად შესამჩნევია, რომ ორ რეალობას შორის ფუნდამენტური სხვაობა არსებობს. კერძოდ, ნაციონალური მოძრაობის უმრავლესობაში ყოფნის პერიოდში, მივლინებებსა და სხვა ამოცანებისთვის სამჯერ და ორჯერ მეტი თანხა იხარჯებოდა, რის დასტურადაც გამოდგება სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც ირკვევა — საკრებულოს თავმჯდომარის ყოფილმა პირველმა მოადგილემ, მამუკა ახვლედიანმა საკრებულოს ბიუჯეტიდან მხოლოდ მივლინებებისთვის 160 000-ზე მეტი ლარი განკარგა. ამასთან, ობიექტურობის შემთხვევაში, ადვილად დასანახია ისიც, რომ საწვავის ხარჯის გაზრდა ნაციონალური მოძრაობის მიერ შექმნილმა შვიდმა ფრაქციამ განაპირობა და არა — საკრებულოს ხელმძღვანელობის ცვლილებამ. შესაბამისად, სახელფასო და ავტომობილების უზრუნველყოფის ხარჯებიც გაიზარდა“.**

რა დამსახურებისთვის გამოიწერეს სოლიდური პრემიები თბილისის მმართველებმა მაშინ, როცა ყოველ ხუთშაბათს, მოქალაქეების მიღების დღეს, ირაკლი შიხიაშვილს უამრავი უსახლკარო თბილისელი თავშესაფრის თხოვნით მიმართავს, კონკრეტული პასუხის მიღებას კი საკრებულოსგან ხშირად კვირების განმავლობაში უშედეგოდ ელოდება? გრძელდება თუ არა საკრებულოში კოჰაბიტაცია და რატომ გამოუწერეს ნაციონალური მოძრაობის ლიდერებს ბოლო თვეების განმავლობაში კოლოსალური პრემიები, ან საერთოდ, რა შეიცვალა მას შემდეგ, რაც დედაქალაქის საკრებულოში ნაციონალური მოძრაობის უმრავლესობა „ქართულმა ოცნებამ“ ჩაანაცვლა? — ამ კითხვებზე პასუხისგამცემი საკრებულოში არავინ აღმოჩნდა. ხარჯებთან დაკავშირებულ ბრალდებებზე დამატებითი განმარტებების გაკეთება „ვერსიასთან“ არც საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილმა და არც მისმა მოადგილე ჯაბა სამუშიამ ისურვეს. ირაკლი შიხიაშვილის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განგვიმარტეს ოფიციალური განცხადება უკვე გავაკეთეთ და დამატებით კომენტარზე უარს ვამბობთო. ჯაბა სამუშიამაც ხარჯებთან დაკავშირებით საზოგადოებას საკრებულოს ოფიციალური განცხადების გაცნობა ურჩია.

# „ჩხარტიშვილსა და ნაციონალებს ერთმანეთში ანგარიშები აერიათ, თორემ ვანო პოლიტიკური დევნილი არასოდეს ყოფილა“

## გია ხუხაშვილი „ვერსიას“ სკანდალური ჩანაწერის დეტალებს უყვება



მაია მიშელაძე
593-51-90-12

**ვანო ჩხარტიშვილის ადვოკატი დიმიტრი გაბუნია ყოფილი პრემიერ-მინისტრის ყოფილ მრჩეველს ეკონომიკის საკითხებში, გია ხუხაშვილს უპირისპირდება — ბრალს შანტაჟსა და ერთი შეხვედრის ფარული ჩანაწერის გაკეთებაში სდებს. ხუხაშვილი აცხადებს, რომ ეს კონფიდენციალური კი არა, საჯარო შეხვედრა იყო, რომელიც ვანო ჩხარტიშვილის ინიციატივით გაიმართა და რომელსაც ჩხარტიშვილი-პატარკაციშვილის სამ-სამი ადვოკატი ესწრებოდა. ხუხაშვილის თქმით, ამ შეხვედრაზე მხოლოდ მედიატორის ფუნქცია ჰქონდა — ჩხარტიშვილმა ბადრი პატარკაციშვილის ოჯახთან მორიგებაში დახმარება იმიტომ სთხოვა, რომ იცოდა, ბადრის ოჯახთან მეგობრობდა. ექსპრემიერის ექსმრჩეველი არც იმას უარყოფს, რომ ერთ-ერთი პრესკონფერენციის შემდეგ, დიმიტრი გაბუნიას დაურეკა და უსაყვედურა, ნუ იტყუებიო, თუმცა განმარტავს, რომ ეს შანტაჟი ან მუქარა არ ყოფილა და გაბუნიას ამ ჩანაწერის გამოქვეყნებას სთხოვს. ამ სკანდალში ბევრი კითხვაა — რატომ გადაწყვიტა შეხვედრის ჩაწერა გია ხუხაშვილმა? რისი ეშინია დიმიტრი გაბუნიას? ვინ ააგორა და ვის წისქვილზე ასხამს წყალს სკანდალი? რატომ იყო გია ხუხაშვილის ოფისი დავით კეზერაშვილის კუთვნილ „პიქსელის“ შენობაში განთავსებული? რატომ დადიოდნენ ხუხაშვილთან ბიზნესმენები? რა ურთიერთობა ჰქონდა პრემიერის მრჩეველს გელა ხვედელიძესთან, ლაშა ნაცვლიშვილსა და დავით ჩხატარაშვილთან?**

**— ბატონო გია, მთავარი ბრალდება ის არის, რომ თქვენ, როგორც პრემიერ-მინისტრის მრჩეველს, ამ ტიპის შეხვედრის ორგანიზების უფლება არ გქონდათ.**

— იმ პერიოდში, როდესაც ვანო ჩხარტიშვილმა ბადრის ოჯახთან შეხვედრა მთხოვა, სტატუსი საერთოდ არ მქონდა. ბადრის ოჯახთან 2008 წლიდან ვმეგობრობ და ვცდილობ, მისი ინტერესები დავიცვა, რადგან პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ, დიდ უბედურებაში აღმოჩნდა. ვანო ჩხარტიშვილმა ზუსტად იმიტომ მომმართა, რომ ყველაფერი ეს იცოდა და მთხოვა, ბადრის ოჯახთან მორიგებაში დავხმარებოდი. რაც შეეხება ჩანაწერს, ეს ჩვეულებრივი პროცედურაა და ამაში გასაოცარი არაფერია, რადგან, როგორც წესი, ოფიციალური შეხვედრის სტენოგრაფიული ჩანაწერი კეთდება. ხაზგასმით ვაცხადებ: ეს კონფიდენციალური შეხვედრა არ ყოფილა, მაგრამ სხვა მოტივიც მქონდა — სამომავლოდ, სხვადასხვა სახის სპეკულაცია რომ არ დაწყებულიყო და მხარეთა პოზიციების შესახებ დოკუმენტური საფუძველი მქონოდა, ჩანაწერი ამიტომ გავაკეთე — თუ ვინმე რამეს იტყოდა, ხელთ მისი ტყუილის დამადასტურებელი დოკუმენტი მექნებოდა, მაგრამ ეს ჩანაწერი სხვას კი არ მივეცი ან კი არ გავასაჯაროვე, ისევ ვანო ჩხარტიშვილის დაქირავებული კომპანიის წარმომადგენლებს გადავეცი, რომლებსაც შეხვედრის შესახებ არასწორი ინფორმაცია ჰქონდათ. იცით, პრობლემა რა არის და ეს თემა ახლა რატომ წამოწიეს? — იმიტომ, რომ ვანო ჩხარტიშვილის ახლანდელი პოზიცია იმისგან, რასაც იმ შეხვედრაზე მისი წარმომადგენლები ამბობდნენ, რადიკალურად განსხვავდება და ამ ჩანაწერში ყველაფერი ჩანს. ზუსტად ეს პრობლემა აქვთ და ამ ჩანაწერის დისკრედიტირებას ცდილობენ, რათა მათ არავინ ჰკითხოს — რატომ შეიცვალეს პოზიცია რადიკალურად.

**— კონკრეტულად, რა თემაზე საუბრობდით ამ შეხვედრაზე ან რა პოზიცია შეიცვალა ჩხარტიშვილმა?**

— ვანო ჩხარტიშვილის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ჰქონდათ ჩხარტიშვილისგან მინიჭებული უფლებამოსილება, რათა გარკვეულ კომპენსაციაზე ესაუბრათ ანუ მზად იყვნენ, ბადრის ოჯახისთვის გარკვეული თანხა გადაეხადათ. დღეს კი ჩხარტიშვილი ამტკიცებს, რომ ბადრის ოჯახის მიმართ ვალდებულება არ აქვს. აქედან გამომდინარე, ეს ჩანაწერი, რა თქმა უნდა, პრობლემაა, თორემ გია ხუხაშვილი არაფერ შუაშია. თუ საჭირო გახდება, ჩანაწერს გავასაჯაროვებ და საზოგადოება სიმართლეს შეიტყობს. ბადრის ოჯახს ვანო ჩხარტიშვილის წინააღმდეგ სარჩელი აქვს შეტანილი და ამ სარჩელის საფუძველზე, საქმეს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური იძიებს. ამ ჩანაწერს გამოძიებასაც გადავცემ და ამაში პრობლემას ვერ ვხედავ.

**— ვანო ჩხარტიშვილის ფაქტორზე ვისაუბროთ — იგი ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს, საქართველოში ვერ ჩამოდიოდა, მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა, ჩხარტიშვილი საქართველოში ჩამოვიდა და „ქართული ოცნების“ საპროტესტო აქციებსაც აფინანსებდა. თავიდან თითქოს ყველაფერი კარგად იყო, მერე რა მოხდა?**

— წინასაარჩევნო პერიოდში, ვანო ჩხარტიშვილი საქართველოში არ ჩამოსულა და არც ის მსმენია, აქციებს აფინანსებდა თუ არა. იგი ცდილობს, თავი პოლიტიკურ დევნილად წარმოადგინოს, რაც ძალიან დიდი სისულელეა. ვფლობ ინფორმაციას, რომ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის პირველ წლებში, ბადრის გარდაცვალების შემდეგაც კი, ძალიან კარგად ახერხებდა თანამშრომლობას სააკაშვილთან. ჩხარტიშვილის საქართველოდან წასვლისა თუ გაქცევის მიზეზი პოლიტიკა და მისი პოლიტიკური შეხედულებები არ ყოფილა. ჩხარტიშვილსა და ნაციონალებს ერთმანეთში ანგარიშები აერიათ და ეს იყო პრობლემა, თორემ ჩხარტიშვილი პოლიტიკური დევნილი არასოდეს ყოფილა.

**— ბიძინა ივანიშვილთან როგორი დამოკიდებულება ჰქონდა? შორიდან ისე ჩანდა, რომ თავიდან ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ჩხარტიშვილს ივანიშვილთან ურთიერთობა დაეძაბა...**

— მოდი, ასე ვთქვათ: ვანო ჩხარტიშვილთან არავითარი პირადი პრობლემა არ მაქვს. ამ თემასთან დაკავშირებით, ბიძინა ივანიშვილი რა შუაშია? პრემიერ-მინისტრი ასეთ საქმეში არ ჩარეულა და ვერც ჩაერეოდა. სამართლიანობის საკითხი ხელისუფლებაში არ წყდება და ბიძინა ივანიშვილი ქართულ საზოგადოებას არასოდეს აკადრებდა, სამართლიანობის საკითხი კაბინეტებში გადაწყვეტილიყო. იცით, რეალურად რა მოხდა? — 2007-2008 წლებში, ბადრის მფლობელობაში არსებული კომპანიებიდან გარკვეული ტრანზაქციები განხორციელდა და ქონება ვანო ჩხარტიშვილთან რაფინირებულ კომპანიებში გადაიტანეს. ყველაფერი ეს დოკუმენტებით დასტურდება, სადაც აშკარად ჩანს, რომ ეს ოპერაციები მინდობილობით განახორციელეს, რომელიც ვანო ჩხარტიშვილის წარმომადგენლებს ეჭირათ. წარმოუდგენელია, რომ ამ მინდობილობით სარგებლობა ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგაც გაგრძელებულიყო. შესაბამისად, ბადრის ოჯახს გაუჩნდა პრეტენზიები, რაც ბუნებრივია. აი, სწორედ ეს დავა მიდის ბადრის ოჯახსა და ვანო ჩხარტიშვილს შორის.

**— ბატონო გია, არასოდეს დაგიმალავთ, რომ თქვენთან წინა ხელისუფლებისგან დაჩაგრული ბიზნესმენები პერიოდულად დადიოდნენ, რომლებიც გარკვეულ სქემებს გიშიფრავდნენ, რაც კვლევისთვის გჭირდებოდათ. პრობლემების მოსაგვარებლად მაინცდამაინც თქვენთან რატომ მიდიოდნენ?**

— პრობლემების მოსაგვარებლად არ მოდიოდნენ, ეს მცდარი გაგებაა. ჩემთან პრობლემებს კი არ აგვარებდნენ, მოდიოდნენ და მიყვებოდნენ, როგორ მუშაობდა წინა ხელისუფლების სისტემა. ერთი ადამიანიც ვერ იტყვის, რომ ჩემთან საკუთარი სურვილის გარეშე მოვიდა. გიმეორებთ, ისინი ყვებოდნენ, თუ რა წნეხის ქვეშ იყვნენ წინა ხელისუფლების პირობებში. ეს ინფორმაცია მჭირდებოდა არა მხოლოდ კვლევისთვის, არამედ იმისთვისაც, რომ ყველაფერი ინსტიტუციურად დალაგებულიყო, რათა ისევ არ გაჩნდეს ის რისკები, რაც ხელისუფლებისა და ბიზნესის ურთიერთობას უკავშირდება. ეს არ იყო ბიზნესმენების ტოტალური „შემოტევა“, ამ ტიპის 5-6 შეხვედრა შედგა. ამის შეახებ ფინალური ბრიფინგიც ჩავატარე. ბიზნესმენები ჩემთან ორი მიზეზის გამო მოდიოდნენ — ეთქვათ, როგორი წნეხის ქვეშ იყვნენ, როგორ ითრევდა წინა ხელისუფლება კრიმინალში სალაროში ფულის გადახდებით და ასე შემდეგ და მეორე — აინტერესებდათ, როგორი თამაშის წესები იქნებოდა სამომავლოდ, ახალი ხელისუფლების პირობებში. ამისთვის ყველაზე კარგი გამტარი მე ვიყავი, რადგან ერთი მხრივ, იცოდნენ, რომ ხელისუფლებასთან დაახლოებული ვიყავი და მეორე მხრივ, ფორმალური სტატუსი არ მქონდა. ეს მათ საშუალებას აძლევდა, მაქსიმალურად თავისუფლად, ოფიციალური პროტოკოლის გარეშე ესაუბრათ. იმ პერიოდში, მაქსიმალური ინფორმაცია მივიღე იმაზე, რა ხდებოდა ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს და ვარწმუნებდი ამ ადამიანებს, რომ ამიერიდან, მათ მხოლოდ კანონთან ექნებოდათ საქმე და ხელისუფლება ბიზნესში აღარ ჩაერეოდა.

*დასასრული მე-6 გვერდზე*




### ნაციონალები ხუთ მოთხოვნას აყენებენ

ნაციონალური მოძრაობის ოფისში გამართული პოლიტსაბჭოს საგანგებო და გაფართოებული სხდომის დასრულების შემდეგ დავით ბაქრაძემ განაცხადა, რომ მათი პირველი მოთხოვნაა, შეიქმნას საგამოძიებო კომისია, რომელიც გამოიძიებს გიგი უგულავას მიერ დაყენებულ საკითხს ამ დღეებში საქალაქო სასამართლოზე ზეწოლასთან დაკავშირებით. ნაცმოძრაობა ითხოვს, ეს საკითხი გამოიძიონ და კონკრეტული ტექნიკური ფაქტები იყოს ამოღებული;

ოპოზიციის მეორე მოთხოვნაა საგამოძიებო კომისიის შექმნა, რათა გამოიძიონ ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ვანო მერაბიშვილის განცხადება, უკანონოდ გატაცებისა და მასზე განხორციელებული ზეწოლის შესახებ; მესამე მოთხოვნაა, ადამიანის უფლებათა და იურიდიული კომიტეტების ერთობლივი სხდომის გამართვა, სადაც ეს საკითხები იქნება განხილული.

მეოთხე მოთხოვნა კი პარლამენტში სახალხო დამცველის მისვლაა. უმცირესობის განმარტებით, ომბუდსმენმა ციხეში მოინახულა მერაბიშვილი და მათი საუბრის შესახებ უჩა ნანუაშვილმა ინფორმაცია მიაწოდოს პარლამენტარებს.

ნაციონალური მოძრაობა ითხოვს, პარლამენტში უმცირესობის ფორმატში დაგეგმილ შეხვედრაზე მივიდეს მთავარი პროკურორი, რადგან, დავით ბაქრაძის თქმით, ძალიან ბევრი კითხვა დაგროვდა როგორც მერაბიშვილის, ასევე ბევრ სხვა თემასთან დაკავშირებით.

*„ინტერპრესნიუსი“*



### ეროვნული ბანკი მონეტარულ პოლიტიკას არ ცვლის

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა, 2013 წლის 18 დეკემბერს, რეფინანსირების განაკვეთის უცვლელად დატოვების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 3.75%-ს შეადგენს. ფასების დინამიკა ეროვნული ბანკის პროგნოზების შესაბამისად ვითარდება და, როგორც მოსალოდნელი იყო, ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელს 2014 წლის ბოლოსთვის დაუახლოვდება.

ნოემბერში მთლიანმა ინფლაციამ 0.6% შეადგინა. წინა თვესთან შედარებით, ფასები 0.5%-ით პროცენტით გაიზარდა, რაც ძირითადად, სეზონურ პროდუქციაზე ფასების მატებამ გამოიწვია. მეოთხე კვარტალში, ეკონომიკური აქტივობის მცირეოდენი მატება შეინიშნება. წინასწარი შეფასებით, ოქტომბერში ეკონომიკური ზრდა 3.9% იყო.

წინასწარი მონაცემებით, ნოემბერში იმპორტის გამოცოცხლება შეინიშნებოდა და წინა წელთან შედარებით, 22%-ით გაიზარდა. მნიშვნელოვნად გაიზარდა საგარეო მოთხოვნაც, ექსპორტის მოცულობის წლიურმა ზრდამ, ნოემბერში 60% შეადგინა. იმის გათვალისწინებით, რომ ინფლაცია მოსალოდნელი დინამიკის შესაბამისად იმატებს და გაზრდილი ეკონომიკური აქტივობა ხელს უწყობს მის დაახლოებას მიზნობრივ დონესთან, საქართველოს ეროვნული ბანკი ინარჩუნებს შერბილებულ მონეტარულ პოლიტიკას და მის განაკვეთს უცვლელად ტოვებს. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2014 წლის 12 თებერვალს გაიმართება.

*BPI*

# იუვენილური რევმატოიდული ართრიტით დაავადებული ბავშვები ჯანდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებას ელიან!

**რამდენია საქართველოში ამ დაავადებით შეპყრობილი ბავშვი? როგორ და რა პირობებში მიმდინარეობს მათი მკურნალობა და რაც მთავარია, რას აკეთებს ან როგორ ზრუნავს მათზე სახელმწიფო? როგორც ირკვევა, იუვენილური რევმატოიდული ართრიტით დაავადებული ბავშვები სახელმწიფოს გადაწყვეტილებასა და დახმარებას დღემდე ელიან! სამწუხაროდ, საქართველოში იუვენილური რევმატოიდული ართრიტით დაავადებულ ბავშვთა ზუსტი რაოდენობა უცნობია. დასავლეთ ევროპის ავტორთა მონაცემებით, ყოველ 100 000 ბავშვზე რეგისტრირდება 94 შემთხვევა. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოში რეგისტრირებული უნდა იყოს 643-702 შემთხვევა.**



იუვენილური ართრიტი იშვიათი ქრონიკული დაავადებაა, რომელიც ვითარდება 6 თვიდან 16 წლამდე ასაკის ბავშვებში. ის უპირატესად, სახსრებისა და თვალის დაზიანებით მიმდინარეობს. საქართველოში დაავადებულია, დაახლოებით, 700 ბავშვი. ბავშვების დიდ ნაწილს აღენიშნება მნიშვნელოვანი შრომისუუნარობა და შეზღუდული შესაძლებლობები. პაციენტთა ნახევარზე მეტი, 5-10 წლის განმავლობაში, III-IV ჯგუფის ინვალიდი ხდება. დაავადების მიზეზი უცნობია. სპეციალისტთან დაგვიანებული მიმართვიანობა და არაადეკვატური მკურნალობა, დაავადების პროგნოზს აუარესებს.

**„დაავადების დროს, იცვლება სახსრის სტრუქტურა. სახსარი კარგავს ფუნქციას, რისთვისაც არსებობს, ანუ მოძრაობის უნარს, ვითარდება ამოვარდნილობები, ქვეამოვარდნილობები. ბავშვი კარგავს მოძრაობის, გადაადგილების, თვითმომსახურების, ზოგჯერ საკვების მიღების უნარსაც კი, რადგან სახსარი, რომელიც უზრუნველყოფს საკვების ღეჭვას, აღარ ფუნქციონირებს. გაცილებით მძიმე სურათია სისტემური ფორმის დროს, როცა ართრიტს ცხელება და შინაგანი ორგანოების დაზიანება ახლავს: პლევრიტი, პერიკარდიტი, ენდოკარდიტი, ნეფრიტი და ა.შ. ამ შემთხვევაში, საუბარია არა მხოლოდ სიცოცხლის ხარისხზე. ბიოლოგიური პრეპარატების გამოყენება ამ პრობლემას გარკვეულწილად ხსნის“,** — განმარტავს რევმატოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელი, მთავარი ექიმი, ასოცირებული პროფესორი **მაკა იოსელიანი**.

ევროპის მონაცემებით, ბიოლოგიური პრეპარატების გამოყენების დაწყებამ, შეცვალა იუვენილური ართრიტის პროგნოზი. არაადეკვატური, არადროული მკურნალობის შემთხვევაში პროგნოზი მძიმეა — ამ პათოლოგიის მქონე ბავშვთა სიცოცხლის ხანგრძლივობა 10 წლით მცირდება და ათი წლის განმავლობაში, დაავადებულთა 50%, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ხდება. რა ბედი ელით იშვიათი დაავადებით, იუვენილური რევმატოიდული ართრიტით დაავადებულ ბავშვებს? როგორ გადაწყვეტს სახელმწიფო მათ მომავალს და რა კომენტარებს აკეთებს ამ თემასთან დაკავშირებით ჯანდაცვის სამინისტრო?

როგორც გაირკვა, ამ საკითხზე კონკრეტული პოზიცია ჯანდაცვის სამინისტროს ჯერჯერობით არ აქვს. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო ჯგუფი უკვე შეიქმნა და საკითხის შესწავლაც მიმდინარეობს, მთავარი ფაქტორი მაინც პრობლემის დროულად გადაჭრაა. იუვენილური ართრიტით დაავადებულ ბავშვთა მშობელთა კავშირი, რომელიც 2011 წელს შეიქმნა, ამ პრობლემის მოგვარებას დიდი ხანია ცდილობს, მაგრამ უშედეგოდ:

**„2011 წლიდან, ჩვენი კავშირი მუდმივად ცდილობს კომუნიკაციას ჯანდაცვის სამინისტროსთან. სამწუხაროდ, ეს მხოლოდ 2013 წელს, თებერვალში მოხერხდა, როდესაც დახურული ტიპის შეხვედრა ჩატარდა. სამედიცინო პერსონალის გარდა, შეხვედრას ჯანდაცვის სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ერთობლივი მიმართვაც შევიმუშავეთ, რომელშიც არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზების ჩვენეული ხედვა იყო გაშუქებული. სამინისტროს იმ 14 ბავშვის სიაც მივაწოდეთ, რომლებსაც დაუყოვნებლივ ესაჭიროებათ მკურნალობა ბიოლოგიური პრეპარატებით და მათ დაფინანსებას ვთხოვდით. პასუხად, ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის ხელმოწერილი წერილი მივიღეთ, რომელშიც აფიქსირებდნენ, რომ აღნიშნულ პრობლემაზე მუშაობდნენ, მაგრამ მდგომარეობა დღესაც უცვლელია“,** — აცხადებს მშობელთა კავშირის თავმჯდომარე, **ანა ბოქოლიშვილი**.

განიხილა თუ არა ჯანდაცვის სამინისტრომ აღნიშნული საკითხი და რა გადაწყვეტილება მიიღო, დღემდე ბუნდოვანია. იშვიათ დაავადებებს სახელმწიფო უნდა აფინანსებდეს, მაგრამ საქართველოში, მათი სრულყოფილი ნუსხაც კი არ არსებობს, თუ არ ჩავთვლით 2001 წელს დამტკიცებულ იშვიათი დაავადებების ჩამონათვალს.

**„საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, იშვიათი დაავადებების მართვა სახელმწიფოს პრეროგატივაა. ეს ევროპულ ქვეყანათა უმრავლესობის კანონმდებლობაშია ასახული. 2000 წელს, მიღებულ იქნა საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ, რომლის ერთ-ერთ მუხლში, აღნიშნულია იშვიათი დაავადებები და დეკლარირებულია სახელმწიფოს ვალდებულებები იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტების მიმართ. უკანასკნელი წლების განმავლობაში, მიღებულ იქნა რიგი რეგულაციები. ყველა ქვეყანაში არსებობს პრიორიტეტული, იშვიათი დაავადებების ნუსხა, რომლის საფუძველზეც, ასეთ პაციენტებს სამედიცინო მომსახურებას უწევენ. ბუნებრივია, ამ ნუსხაში შემავალ დაავადებათა რაოდენობა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირდაპირპროპორციულია — რაც უფრო მდიდარია ქვეყანა, მით უფრო გრძელია ნუსხა. ჯერ კიდევ 2001 წელს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, ოფიციალურად დამტკიცებული ნუსხა არ ასახავს ჩვენს ქვეყანაში იშვიათ დაავადებათა გავრცელების რეალურ სურათს. სამწუხაროდ, მასში შეტანილი არ არის საქართველოსთვის მართლაც პრიორიტეტულ დაავადებათა მთელი რიგი, თუმცა ჩართულია ისეთი დაავადებები, რომლებიც დღეს არა მარტო არ რეგისტრირდება, არამედ — არ შეესაბამება იშვიათი დაავადების კრიტერიუმებს“,** — განმარტავს „გენეტიკური და იშვიათი დაავადებების საქართველოს ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორი, პროფესორი **ოლეგ ქვლივიძე**.

*მაკა რუხაძე*

ექსკლუზივი

# გია ხუხაშვილი „ვერსიას“ სკანდალური ჩანაწერის დეტალებს უყვება

*მე-5 გვერდიდან*

**— თქვენი ოფისი „პიქსელის“ შენობაშია განთავსებული...**

— უკვე აღარ არის, იქიდან წამოვედი.

**— კი ბატონო, მაგრამ ადრე „პიქსელის“ შენობაში იჯექით, სადაც მხოლოდ ბიზნესმენები კი არა, დავით ჩხატარაშვილიც დადიოდა. ამ ფონზე, რა გასაკვირია, რომ ვიღაცამ „ქართული ოცნების კეზერაშვილი“ გიწოდათ?**

— საერთოდ არაფერი მიკვირს. კარგად მესმის, პოლიტიკაში ყოფნისა და სერიოზული ამოცანების გადაწყვეტის ფასი სწორედ ეს არის. „პიქსელის“ შენობაში რომ ვიჯექი, გარკვეულ ასოციაცებს იწვევს, ჩხატარაშვილთან რომ ურთიერთობა მქონდა, ესეც კითხვისნიშნებს აჩენს. ბუნებრივია, ყველაფერზე პასუხი მაქვს, მაგრამ თავისმართლების რეჟიმში ყოფნა არ მინდა.

**— დავით ჩხატარაშვილი თბილისის მთავარი პროკურორის, მურთაზ ზოდელავას მოადგილე გახლდათ და მასზე სისხლის სამართლის საქმეც იყო აღძრული. თქვენთან რა საერთო ჰქონდა?**

— ჩემი ინიციატივით მოდიოდა, რადგან უმნიშვნელო ფიგურა არ ყოფილა. ზუსტად იმ კვლევის პერიოდში, დაინტერესებული ვიყავი, მისგან გარკვეული ინფორმაცია მიმეღო. ვიცოდი, მასზე სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული, ისიც ვიცოდი, დაკითხვები მიმდინარეობდა, მაგრამ ჩემი კომპეტენცია არ ყოფილა, როდის დააპატიმრებდნენ ჩხატარაშვილს. ვიდრე თავისუფალი იყო, მინდოდა, ამით მესარგებლა და მაქსიმალური ინფორმაცია მიმეღო. რა სისულელეა, რომ რაღაც გარიგებაში შევსულიყავი მასთან, ადამიანთან, რომლის მსხვერპლიც თავად ვიყავი? სხვათა შორის, ის დამკვეთი არ ყოფილა, ჩხატარაშვილი სისტემის შემსრულებელი, რეჟიმის ინტელექტუალური კომპონენტი და ე.წ. მწმენდავი იყო. რაღაცას რომ დაამავებდნენ ნაციონალური მოძრაობის ლიდერები, გამოსავლის ძიებაში ანუ დანაშაულის შელამაზებაში, ჩხატარაშვილი ეხმარებოდა. რა თქმა უნდა, იგი დამნაშავეა, მაგრამ დღეს მთავარი პრობლემა ისაა, რომ დამკვეთს ანუ ნაციონალური მოძრაობის ლიდერებს, რომლებიც პარლამენტში არიან, გრძელი ენები აქვთ და სამართალსა თუ პოლიტიკურ დევნაზე საუბრობენ.

**— ვიღაცები ბრალს სწორედ მაგ დამკვეთებთან ანუ ნაციონალურ მოძრაობასთან ალიანსში გდებენ და „ქართულმა ოცნებამაც“ თურმე ამიტომ მოგიძულათ.**

— ყველაფერი ეს ძალიან დიდი და წარმოუდგენელი სისულელეა. „ქართულ ოცნებაში“ ყველა მიცნობს, შესაძლოა, ბევრს არ ვუყვარვარ, მაგრამ სულ სხვა მიზეზის გამო და არა იმ მიზეზით, თითქოს ნაციონალურ მოძრაობასთან ვთანამშრომლობ. სხვათა შორის, ჩხატარაშვილს რომ ვხვდებოდი, არასოდეს დამიმალავს... რომ იცოდეთ, ზუსტად ნაციონალურმა მოძრაობამ ატეხა ეს სკანდალი, რადგან „პიქსელის“ შენობაში მისი ბევრი წარმომადგენელი იჯდა. როგორც ჩანს, შეამჩნიეს, რომ ჩხატარაშვილი ჩემთან მოვიდა და სწორედ მათ დაიწყეს ამაზე ხმამაღალი საუბარი. ვფიქრობ, შეეშინდათ, ჩხატარაშვილს, რომელიც საკმაოდ დიდ ინფორმაციას ფლობდა, ჩემთან რამე არ წამოსცდენოდა.

**— ბატონო გია, შს მინისტრის ყოფილ მოადგილე გელა ხვედელიძესა და მთავარი პროკურორის ყოფილ მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილთან ალიანსშიც ხართ მხილებული. არც ესაა მართალი?**

— მარტივად გიპასუხებთ — გელა ხვედელიძესთან არასოდეს მითანამშრომლია და ეს წმინდა წყლის ინსინუაციაა. რაც შეეხება ლაშა ნაცვლიშვილს, მასთან ვმეგობრობ და მეგობრებზე უარს არასოდეს ვიტყვი, თუმცა ნაცვლიშვილის პროკურატურაში პროფესიულ მოღვაწეობაზე წარმოდგენა არ მაქვს, რადგან ეს ჩემი კომპეტენცია არ არის. არასოდეს ვიკადრებ, რომელიმე ჩემი მეგობრის, მათ შორის ლაშა ნაცვლიშვილის, საქმიანობაში ჩავერიო. წინასაარჩევნოდ მე და ლაშა მჭიდროდ ვთანამშრომლობდით, მაგრამ როდესაც პროკურატურაში დაინიშნა, მეგობრობა არა, მაგრამ თანამშრომლობა შეწყდა.

**P.S. „ვერსია“ სამი დღის განმავლობაში ამაოდ ცდილობდა ადვოკატ დიმიტრი გაბუნიასთან დაკავშირებას. თავიდან გაბუნია ჩვენს ზარს პასუხობდა, მესიჯიც კი მოგვწერა, მოგვიანებით შემეხმიანეთო, მაგრამ, სამწუხაროდ, მოგვიანებით ტელეფონი გამორთო. არადა, გვაინტერესებს, სინამდვილეში, რისი ან ვისი ეშინია და რას ამბობს ჩანაწერში, რომელიც გია ხუხაშვილმა ვანო ჩხარტიშვილის დაქირავებული კომპანიის წარმომადგენლებს გადასცა და არა ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს? ჩანაწერის შესახებ ადვოკატმა ჩხარტიშვილისგან გაიგო ანუ გამოდის, დიმიტრი გაბუნია ვანო ჩხარტიშვილმა „გადააგდო“?**



## ილია მეორე აღზრდის პროგრამის შემუშავების ინიციატივით გამოდის

როგორც უწმინდესმა საკვირაო ქადაგებისას ბრძანა, ახალგაზრდები ამთავრებენ უმაღლეს სასწავლებლებს, თუმცა ცოდნა დაბალია, აღზრდა კი საერთოდ არ არის. პატრიარქმა გელათის აკადემიის გახსნასთან დაკავშირებული დავით აღმაშენებლის სიტყვებიც გაიხსენა: **„ეს უნდა იყოს მეორე იერუსალიმი თავისი სულიერებით და ახალი ათინა“.**

ილია მეორე მიიჩნევს, რომ მეცნიერებმა არა მხოლოდ ცოდნის მიცემაზე, არამედ, აღზრდაზეც უნდა იფიქრონ. **„აღზრდას არა მხოლოდ ოჯახი, არამედ, სკოლა და ეკლესიაც უნდა აძლევდეს. ადამიანი, რომელსაც განათლება და აღზრდა ექნება, ბედნიერი იქნება. ვთხოვ ჩვენს მეცნიერებს, იფიქრონ ამ პრობლემაზე. დღეს თითქმის ყველაფრის შემსწავლელი სასწავლებლები არსებობს, მაგრამ ვცხოვრობთ იმ დროს, როდესაც დაიხურა ფილოსოფიის ინსტიტუტი, ფსიქოლოგიის ინსტიტუტი და მრავალი სხვა, რამაც მეტად გაამწვავა ეს საკითხი. იმედი მაქვს, განათლების სამინისტრო იფიქრებს, როგორ შეიძლება შეიქმნას აღზრდის პროგრამა და რა უნდა დაეკისროს სკოლას, ოჯახსა თუ ეკლესიას ამ დარგში“,** — ბრძანა უწმინდესმა.

პატრიარქმა იმედი გამოთქვა, რომ ქართველი მეცნიერები ამ რთულ საკითხს ჩასწვდებიან და აღზრდის კარგი პროგრამა შეიქმნება.

*„ინტერპრესნიუსი“*

ეკა სეხნიაშვილი

# რევოლუცია მედიცინაში — რა ბოლო თაობის აპარატურა მონტაჟდება თოდუას კლინიკაში ონკოლოგიური ავადმყოფებისთვის?!

**2013 წელი დასასრულს მიუახლოვდა. მოვლენათა შეფასების, შედეგების დაჯამების დრო დადგა. მსგავსი შეფასებებისა და გასული წლის ანალიზისთვის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელს — ბატონ ფრიდონ თოდუას ვეწვიეთ. კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს საზოგადოებისთვის განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება — ამ სამედიცინო დაწესებულებას ყველა კარგად იცნობს როგორც „თოდუას კლინიკას“ და ის მართლაც გამორჩეულია. ინსტიტუტში შესვლისთანავე, თბილისის ერთი ყველაზე ხმაურიანი, გადატვირთული და ქაოსური ქუჩიდან თითქოს სულიად სხვა სამყაროში ხვდებით, გამორჩეული ინტერიერი, წყნარი ცოცხალი მუსიკა, კედლებზ-ე თანამედროვე ცნობილი ქართველი მხატვრების ტილოები — არც გგონია, რომ, თუმც კი ერთ-ერთ საუკეთესო, მაგრამ მაინც კლინიკაში ხარ. ყველაზე მნიშვნელოვანი კი აქ არსებულ გარემოსთან ერთად, მაინც სამედიცინო მომსახურების ხარისხია. კლინიკაში მისვლამდე ინტერნეტრეიტინგს გადავხედეთ და, როგორც ირკვევა, ინტერნეტმომხმარებლებშიც დიდი პოპულარობით სარგებლობს...**





— **ბატონო ფრიდონ, რით გამოირჩევა კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და როგორია მისი წვლილი საქართველოში რადიოლოგიის და, ზოგადად, მედიცინის განვითარებაში ?**

— ჯერ კიდევ 20-30 წლის წინ ურყევ ჭეშმარიტებად მივიღე ერთი ფაქტი: მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი მედიცინა სრულიად წარმოუდგენელია თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობის გარეშე, უმთავრესია კვალიფიციური კადრების მომზადება. ეს იყო პირველი, რასაც მოვკიდე ხელი, როგორც კი საქართველოში დავბრუნდი. სწორედ ესაა ჩვენი წარმატების საფუძველი და მეამაყება, რომ ჩვენს ინსტიტუტში მუშაობენ საუკეთესო ექიმები, რომლებიც თავისი დარგის წამყვანი სპეციალისტები არიან არამარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც. მეამაყება, რომ ჩვენი ინსტიტუტი საუნივერსიტეტო კლინიკაა. მეცნიერების გარეშე ჩვენს კლინიკას არ ექნებოდა ის სტატუსი, რომელიც აქვს დღეს. თანამშრომლებს მიღებული აქვთ 9 სახელმწიფო და 6 ეროვნული პრემია სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომებისთვის. დღეს ბევრი იწერება იმის შესახებ, რომ ხდება ინტელექტის გადინება საზღვარგარეთ, ძალიან სამწუხაროა, რომ სამეცნიერო კადრებს არა აქვთ ჩვენს ქვეყანაში დღეს სათანადო ხელშეწყობა, თუმცა არიან ისეთებიც, ვინც ბრუნდება და თავის ადგილს იმკვიდრებს სამშობლოში. ასეთები არიან ჩვენს ინსტიტუტში ირაკლი თოდუა, თენგიზ გუგეშაშვილი და სხვები, რომლებიც, ჩემი აზრით, საუკეთესონი არიან, როგორც პროფესიონალები.

— **ცნობილია, რომ თქვენი კლინიკა უპრეცედენტოა თავისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, მაინც როგორია აპარატურის ჩამონათვალი და რითაა ის განსაკუთრებული?**

— თამამად და ყოველგვარი გათამაშებული თავმდაბლობის გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ აპარატურა, რომელიც ჩვენს ინსტიტუტშია, საუკეთესოა არამარტო საქართველოს მასშტაბით, არამედ მსოფლიოს ნებისმიერი წამყვანი კლინიკისთვისაც — დაწყებული თანამედროვე ლაბორატორიული აღჭურვილობით, ულტრაბგერითი აპარატურით, რენტგენის დანადგარებით, კომპიუტერული და მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფებით, ენდოსკოპიური ტექნიკით და დამთავრებული, მართლაც რომ, უნიკალური საოპერაციო ბლოკებით თორაკოაბდომინალური, გინეკოლოგიური, ტრავმატოლოგიურ-ორთოპედიული და ნეიროქირურგიული ჩარევისთვის. დღესაც კი გაგიჭირდებათ ევროპაში და თუნდაც, ამერიკაში კლინიკების მოძიება, სადაც სამედიცინო ტექნიკის ასეთი კონცენტრაციაა — ფუნქციონირებს 4 კომპიუტერული და 4 მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფი. მხოლოდ საზოგადოებისა და პაციენტების მოთხოვნა განსაზღვრავს ჩვენს მიერ რაიმეს შეძენა-არშეძენის საკითხს; მეტსაც გეტყვით, დგას საკითხი მეხუთე მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფის შეძენისა, რადგან ამ განყოფილებაში მუდმივად რიგია, პაციენტები ჩაწერის გარეშე ვერ ხვდებიან გამოკვლევაზე და ეს, უპირველეს ყოვლისა, იმაზე მეტყველებს, რომ ადამიანები ენდობიან ჩვენი კლინიკის ექიმებს. სწორედ ნდობას აქვს უდიდესი როლი. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ პაციენტებს ნაკლებად აღელვებთ აპარატურის სპეციფიკაცია, მათთვის გადამწყვეტი ექიმია — პროფესიონალი, რომელმაც, გამოკვლევის შედეგების ინტერპრეტაციის საფუძველზე, სწორი დიაგნოზი უნდა დასვას. თუ ჩვენთან მეტი პაციენტია, ეს ნიშნავს, რომ მეტია ნდობა — კლინიკაში 2013 წელს 40 ათასი პირველადი პაციენტი გატარდა რეგისტრაციაში, გაკეთდა 2 500-ზე მეტი გეგმური ოპერაცია.

— **საზოგადოებისთვის ცნობილია და პრესაშიც არაერთხელ დაიწერა, რომ წელს განახორციელეთ რამდენიმემილიონიანი კაპიტალდაბანდება ახალი პროექტისთვის, რომელიც საქართველოში სხივური თერაპიის განვითარებას უკავშირდება. რატომაა ეს პროექტი ასეთი მნიშვნელოვანი?**

— ვიტყოდი, რომ ეს ეროვნული საქმე უფროა, ვიდრე კომერციული პროექტი, თუმცა მის განხორციელებაში მართლაც არაერთი მილიონია ჩადებული. დანადგარები, რომელთა შეძენასაც მოეწერა ხელი, გახლავთ ცნობილი ამერიკული ფირმა „ვარიანის“ წარმოების „თრუბიმის“ მოდელის მაღალი ენერგიის სხივური ამაჩქარებლები — თანამედროვე ონკოლოგიაში სხივური თერაპიისთვის განკუთვნილი ბოლო თაობის ერთ-ერთი საუკეთესო აპარატი. სულ მალე 2 ამ ტიპის აპარატი შევა ექსპლუატაციაში. წარმოიდგინეთ, საქართველოში ყოველწლიურად აღინიშნება 8 000 ახალი ონკოლოგიური პაციენტი, რომელთაგან 300 მდე ბავშვია. სხვადასხვა მონაცემებით, ასეთი პაციენტების 70-80%-ს სხივური თერაპია ესაჭიროება, რომელთა უმრავლესობა ან საზღვარგარეთ მიდის ან საერთოდ, მკურნალობისგარეშე რჩება. სხივური თერაპია აქამდეც ტარდებოდა და ახლაც ტარდება საქართველოში, მაგრამ წინა თაობის აპარატურა სასურველ შედეგს ვერ იძლევა, რადგან დასხივება სიმსივნით დაავადებული ორგანოს ჯანსაღ ნაწილებსაც აზიანებს. „თრუბიმის“ საშუალებით კი ხდება მხოლოდ სიმსივნურად გადაგვარებული ქსოვილების დასხივება, თანაც ისე, რომ ფაქტობრივად, არ ზიანდება ჯანსაღი ქსოვილები. „თრუბიმის“ შემოტანა საქართველოში სხივური თერაპიის ახალი მიმართულების დასაწყისია. ამას შევადარებდი ისეთივე რევოლუციურ მოვლენას მედიცინაში, როგორიც იყო კომპიუტერული ტომოგრაფიის დანერგვა და განვითარება. აპარატურის მონტაჟს იანვარში ვგეგმავთ, მაგრამ ამას უზარმაზარი სამუშაო უძღვოდა წინ — აპრილში დავიწყეთ ახალი, 6-სართულიანი კორპუსის მშენებლობა, რომელიც უკვე დასასრულს უახლოვდება. მომზადდა სპეციალური ბუნკერი სხივური თერაპიის აპარატებისთვის, სადაც ბეტონის კედლების სისქე 3 მეტრს აღწევს. როგორც ყოველთვის, წინასწარ დავიწყეთ სპეციალისტების მომზადება. რამდენიმე თვეა ჩვენი 8 ექიმი იმყოფება სპეციალურად სხივური თერაპიის აპარატებზე სამუშაოდ ბელგიაში, ავსტრიასა და გერმანიაში კიდევ 2 ემზადება გასამგზავრებლად. ვფიქრობთ, თებერვალში უკვე პირველ პაციენტებს მივიღებთ.

— **ბატონო ფრიდონ, გარკვეული პერიოდი პოლიტიკაშიც საკმაოდ აქტიურად იყავით ჩაბმული..**

— დიახ, იყო ასეთი პერიოდი ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ მიმაჩნია, რომ ჩემი საქმე მაინც მედიცინაა. არაერთხელ მითქვამს, რომ არ ვარ პოლიტიკოსი, ვარ ექიმი. მინდა, ვაკეთო ჩემი საქმე და ვიზრუნო ჩემს ხალხზე, მაგრამ დრომ თავისი მოიტანა და აღმოჩნდა, რომ ხალხის ინტერესებზე ზრუნვა სხვა გზითაც შეიძლება და უფრო ქმედითადაც. მივიჩნევ, რომ ეს პერიოდი ნამდვილად იყო ჩემს ცხოვრებაში გარკვეული სკოლა — შევიძინე დიდი, ჩემთვის ახალი გამოცდილება, თუმცა მედიცინა, ადამიანის ჯანმრთელობა ყოველთვის და ყველაფერზე მნიშვნელოვანია. ექიმობა მოღვაწეობის განსაკუთრებული სფეროა. ვიტყოდი, ერთგვარი მოწოდებაა, თუმცა, რასაც უნდა აკეთებდე, ადამიანებს კურნავდე, ქვეყანას მართავდე თუ ეზოს გვიდე, ყველაფერი სინდისიერად და გულით უნდა გააკეთო. პარლამენტში ჩემი ყოფნის პერიოდში ძალ-ღონე არ დამიშურებია საკუთარი მოვალეობების შესასრულებლად. მიხარია, რომ ზუგდიდში ჩემი ძალისხმევით ბევრი რამ გაკეთდა და ვამაყობ, ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატი რომ ვიყავი.

— **როგორ ფიქრობთ, დაგიფასდათ?**

— ჩემთვის უმთავრესი ადამიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლეა. როდესაც გრძნობ, ყოველდღიურად რამდენი რამის გაკეთება შეგიძლია, ეს ყველაზე დიდი ჯილდოა. არ შემიძლია არ ვიამაყო იმით, რომ უდიდესი შრომა მაქვს ჩადებული საქართველოს მედიცინისთვის ახალი თაობის აღზრდაში. ნებისმიერი ადამიანისთვის ყველაზე დიდი სიმდიდრე მისი მოსწავლეებია. ექიმებს განსაკუთრებით უნდა ჰქონდეთ გამახვილებული პასუხისმგებლობა მომავალ თაობაზე ისევე, როგორც ახალგაზრდა ექიმებმა უნდა იცოდნენ თავიანთი მასწავლებლების ღვაწლის დაფასება. სხვათა შორის, ამას ინსტიტუტში, სამედიცინო დისციპლინებთან თანაბრად გვასწავლიდნენ. ჰიპოკრატეს ფიცის პირველი და ყველაზე პრინციპული დებულება ხომ სწორედ იმ ადამიანთან დამოკიდებულებასა და პატივისცემას ეხება, ვინც მედიცინის ხელოვნებას გაზიარა. ძალიან მწყინს, რომ ბოლო დროს ვამჩნევ ამ, ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი ტრადიციის მივიწყებას და გაუფასურებას. როდესაც ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მოსკოვში მოვხვდი სამუშაოდ, იყო ასეთი შესანიშნავი პირვნება, აკადემიკოსი ალექსანდრე ვიშნევსკი, როგორც იტყვიან, ღვთისგან ექიმი, რომელმაც მითხრა: იცოდე, განსაკუთრებული სითბოთი მოეპყარი ასაკოვან ხალხს, არ აწყენინო მოხუცებს, გახსოვდეს, ყველანი დავბერდებითო.. ეს სიტყვები სამუდამოდ ჩამრჩა გონებაში. არავინ იცის, როგორი სიბერე ექნება. ნუ მოექცევი ადამიანებს ისე, როგორც არ გინდა მოგექცნენ შენ. ეს ძალიან მარტივი ჭეშმარიტება ნორმალური ურთიერთობის გასაღებია.

მარტო ჰეროიკული სადღეგრძელოებით გამყარებული, საუკუნეებისწინანდელი დიდებული საქართველოს წარსულის სიყვარული და პატივისცემა არ არის პატრიოტობა. ჩემი აზრით, ნამდვილი სიყვარული სამშობლოსი, სწორედ ჩვენს გვერდით მყოფი ადამიანების სიყვარულია. იმ ადამიანებისა, რომლებიც ჩვენს უშუალო წარსულს წარმოადგენენ და რომელთა გარეშეც არ იარსებებდა მომავალი.

ცოტა დამრიგებლური მონოლოგი გამომივიდა, მაგრამ როგორ არ ვთქვა — საშინლად განვიცდი, როდესაც ჩართავ ტელევიზორს, შეხვალ ინტერნეტში თუ გაზეთს აიღებ და ერთმანეთის ლანძღვის ნიაღვარი წაგლეკავს. ჩემთვის ეს მიუღებელია. უნდა ვისწავლოთ საპირისპირო აზრის, პირველ რიგში მოსმენა, შემდეგ გააზრება და შემდეგ უკვე პატივისცემა. ჩვენ ხომ პატარა ერი ვართ, გავუფრთხილდეთ ერთმანეთს, ვისწავლოთ მოთმინება. ჩემთვისაც ხშირად უწყენინებიათ ცხოვრებაში, მაგრამ მომითმენია, გადამიხარშავს, გამიგია... და ჩემი გამოცდილების სიმაღლიდან გულწრფელად შემიძლია გირჩიოთ, ასეთი დამოკიდებულებით ცხოვრება სჯობს, გარწმუნებთ...

მინდა, ჩემი ქვეყანა, მართლაც მშვენიერი, ასეთი კულტურით, წარსულით იყოს შემდგარი. ამაში, ალბათ, არაფერია სადავო. ვფიქრობ, ესაა ყველა რიგითი მოქალაქის სრულიად ბუნებრივი სურვილი, მაგრამ მარტო სურვილი არ არის საკმარისი, ამისთვის თითოეული ჩვენგანის, უკლებლივ ყველას, შრომა და ძალისხმევაა აუცილებელი.

# წალკა — შუასაუკუნეების აჩრდილი 21-ე საუკუნეში

გიორგი გიორგაძე
თბილისი-წალკა-თბილისი

**იმ დროს, როცა აჭარის ხელისუფლებაში მოკალათებული ცალკეული „პატივცემული გვამები" 83-ათასიანი ჯიპებით ნავარდზე ოცნებობენ, წალკის მუნიციპალიტეტის 45 სოფელში ჩასახლებული რამდენიმე ასეული აჭარელი ეკომიგრანტის ოჯახს შიმშილით სული სძვრება. „შიმშილით სულის ამოძრომა" შეიძლება, უტრირებული ნათქვამია, მაგრამ წალკაში აშკარად შუა საუკუნეებია — მუდმივ ინტერნეტსა და ტექნიკის სხვა მიღწევებს ვინ ჩივის, წყალიც სანატრელი აქვთ. ყოველ შემთხვევაში, ჩემი მეგზური, 29 წლის ამირან ძირკვაძე მეუბნება, რომ ხალხი წყლის რიგში ზოგჯერ 24 საათი დგას.**



ამირანი ხულოელია. სოფელ იმერაში 2008 წელს გადმოსახლდა და, აჭარელი სხვა ეკომიგრანტის მსგავსად, ბინა ბერძენის სახლში, ორ ოთახში დაიდო. წალკელი ბერძნების უმეტესობამ სახლ-კარი რამდენიმე წლის წინ მიატოვა და საბერძნეთში წავიდა. ამით ქვეყნის ხელისუფლებამ ისარგებლა და სახლებში, რომლებიც დღესაც ემიგრანტი ბერძნების საკუთრებაა, სტიქიით დაზარალებული აჭარლები შეასახლა. წალკის მუნიციპალიტეტში მათი პირველი ნაკადი მე-20 საუკუნის 90-იან წლების შუახანებში გამოჩნდა, მასობრივი გადმოსახლება კი ვარდების რევოლუციის შემდეგ დაიწყო — 2004 წელს პრეზიდენტადარჩეულ მიხეილ სააკაშვილს აჭარლებისთვის ლამის დაუჩოქია — ოღონდ წალკაში წამოდით და მხოლოდ გადასახლების კომპენსაციას კი არ მოგცემთ, ბერძენთა სახლებსა და საკარმიდამო მიწის ნაკვეთებსაც დაგიკანონებთო. მოგეხსენებათ, იმხანად ანუ 2004 წელს სააკაშვილი როგორი პოპულარული იყო, ჰოდა, სტიქიით გაუბედურებული ხალხიც სიტყვაზე ენდო და მშობლიური კუთხიდან აიყარა.

„აჭარელ გლეხს მიწა უყვარს და თუ მუშაობის პირობებს შეუქმნი, ზედმეტად არავის შეაწუხებს. მართალია, წალკაში მიწა ნაყოფიერია, მაგრამ ეს გლეხისთვის ხეირი მაინც არაა, რადგან მიწას ადგილობრივი თუ სხვა მემამულეებისგან ქირაობენ, რაც ძვირი ჯდება", — მეუბნება უფლებადამცველი **მერაბ ბლადაძე**, რომელიც წალკელი ეკომიგრანტებისთვის, როგორც შევატყვე, ერთადერთი იმედია.



იმერა 70-კომლიანი გზისპირა სოფელია — აქ მუსულმანი აჭარლები ცხოვრობენ. ჩემს მეგზურს, ამირან ძირკვაძეს, რომელსაც განათლება თურქეთში აქვს მიღებული და თურქული ენის სპეციალისტია, საუბარში ვიყოლიებ და ჯერ იმით ვინტერესდები, სოფელში მოლა თუ ჰყავთ. კიო, მპასუხობს, მერე, ე.წ. უფასო ჯანდაცვას ვეხები — ეს ჩვენზე არ ვრცელდებაო. რატომ-მეთქი? — გაოცებას ვერ ვმალავ. აბა, რა გითხრა? საავადმყოფოში რომ მიხვალ, 50 ლარი ყველა ვარიანტში უნდა გადაიხადოო.

ერიჰაა! — ესეც სერგეენკოს ქებისგან ძირგაგდებული საყოველთაო ჯანდაცვა!

როგორც გითხარით, იმერა გზის, უფრო კონკრეტულად, ტრასისპირა სოფელია: ტრასის ერთ მხარეს ხალხი ცხოვრობს, მეორე მხარეს ტრამალებია „გაწოლილი". ჰოდა, აქაურების ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაც სწორედ ეს „გატკიცინებული" ტრასაა, სადაც, წესითა და კანონით, მძღოლებისთვის ტრაფარეტი უნდა იყოს, დასახლებული პუნქტია და საათში 60 ან 80 კილომეტრისიჩქარით იმოძრავეთო, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ — ავტოები თავაწყვეტილები „დაშლიგინებენ". ჰოდა, რამდენიმე დღის წინ, ერთ-ერთ ასეთ თავაწყვეტილ მანქანას ერთ-ერთი ადგილობრივის 4 ძროხა გაუტანია. არ იკითხავთ, ამის მერე რა მოხდა? რა და — დაზარალებულ გლეხს ჯერ 400-ლარიანი ჯარიმა მიუვიდა, თავხედი ძროხები გყოლია, არ იციან, რომ შუა გზაზე გადასვლა არ შეიძლებაო, გლეხმა ეს 400 ლარი ვერ გადაიხადა და სწორედ იმ დღეს, იმერას რომ ვსტუმრობდი, 3 000-ლარიანი ჯარიმა „აარტყეს"! რას ვიზამთ, ასეთია რეალობა — ჩვენმა ძვირფასმა პარლამენტარებმა ხომ, ამას წინათ, სპეცკანონი მიიღეს, რომლითაც გზებზე პირუტყვის მოძრაობა რეგულირდება!

## აჭარელი ეკომიგრანტების სამპუნქტიანი ულტიმატუმი

ასეა თუ ისე, კარგი იქნება, თუკი ძლიერნი ამა სოფლისა იმერას მცხოვრებთა ერთ მოთხოვნას მაინც შეასრულებენ და ტრასაზე ტრაფარეტს დაამაგრებენ. ესეც მიწისა და ბერძენთა სახლების დაკანონება ხომ არაა, მთელი რიგი პროცედურები დასჭირდეს?!

რაც შეეხება მიწას, სააკაშვილს აჭარელი ეკომიგრანტებისთვის თითო-თითო ჰექტარი უჩუქებია, მოგეხსენებათ, ერთი ჰა მიწა გლეხისთვის არაფერია და მოსახლეობა, პურის ფული რომ იშოვოს, ნაკვეთებს მემამულეებისგან წელიწადში სამას ლარად ქირაობს, ხოლო თუკი მოსავალი არ მოვიდა, ეს სამასი ლარიც კისერზე დამოკლეს მახვილივით დააწვება.

ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლის მთავარი წყარო მესაქონლეობაა — აზერები, თურმე, სოფელ-სოფელ დადიან და საქონელს ყიდულობენ, ე.წ. ცოცხალ წონაში 1000-1200 ლარს იხდიან. სეზონზე, აქაურები ყველითაც ვაჭრობენ — თბილისში ჩამოაქვთ და გადამყიდველებს აბარებენ. ხალხი ამბობს, კარგი იქნება, ყველის მიმღები წერტი აქ გაიხსნას, უფრო მეტი მოგება დარჩებაო.

რაიონული ცენტრი წალკა გაზიფიცირებულია, სოფლები — არა, ამიტომ მოსახლეობა, ზამთარ-ზაფხულ, შეშაზეა დამოკიდებული, ერთი მანქანა შეშა კი, 600 ლარი ჯდება...

იმერას ტრამალებზე, ერთ ადგილას მამაკაცები არიან თავმოყრილნი. რა ხდება-მეთქი, ვეკითხები მეგზურ ამირანს. მილი, რომლითაც სოფელს წყალი მიეწოდება, გაიყინა და ალღობენო, მიხსნის...

— ამას თქვენი ძალებით აკეთებთ თუ სოფლის საკრებულო გეხმარებათ? — ვინტერესდები მისალმების შემდეგ.

— ჩვენი ძალებით...

— კი, მაგრამ ან გამგებელი სადაა, ან ბოქაული? — ვხუმრობ.

— სამი სოფელი — იმერა, ბაშკოვი და კარაკომი ერთ საკრებულოშია გაერთიანებული... რომელ გამგებელზე გველაპარაკები? წალკაში ყველაფერი ისევ ნაციონალების ხელშია... აქ თანამდებობებზე ხალხი კალოშებით მოდის და მილიონებს შოულობს. აი, მაგალითად, მიშა ცქვიტიშვილი, წალკის ყოფილი გამგებელი, ახლა პარლამენტში ზის, ყველაფერი მისი საკუთრებაა, — მეუბნებიან წყლის მილის ლღობით დაკავებული აჭარელი ეკომიგრანტები და იმ ამბავსაც იხსენებენ, რამდენიმე წლის წინ, ერთ-ერთმა ადგილობრივმა ბობოლამ რომ მიაძახა, — თქვენ ქართველები არ ხართო...



სხვათა შორის, ათი წელია, სოფელი იმერა აჭარელი ეკომიგრანტებითაა დასახლებული, მაგრამ ადგილობრივ ანუ ბერძნების მიერ დატოვებულ სასაფლაოზე მხოლოდ სამი აჭარელია დასაფლავებული — ხალხს თურმე ეშინია, რომ ერთ მშვენიერ დღეს, სასაფლაოც ვინმეს საკუთრებაში აღმოჩნდება და ეს „ვინმე" მიცვალებულების მოთხრას მოითხოვს, ამიტომ ჭირისუფლები, როგორც იტყვიან, ურიის ვალს იღებენ და მიცვალებულს მშობლიურ ხულოში მიასვენებენ...

იმაზე, რომ წალკაში შუასაუკუნეებია, ყველაზე თვალნათლივ სოფელ ამერას საჯარო სკოლა მეტყველებს — ბერძენისგან დატოვებულ ორსართულიან სახლში 80-მდე მოსწავლეა. სახლი 1957 წელსაა აშენებული, საკლასო ოთახები კი, მომიტევეთ და, საქონლის სადგომებს ჰგავს?! უფრო მეტიც, ოთახები „გიბსოკარდონითაა" გადატიხრული და ერთ ნაწილში ერთი კლასი მეცადინეობს, მეორეში — მეორე.

...იმერადან გზას წალკისკენ ვაგრძელებთ. უფლებადამცველი მერაბ ბლადაძე ამბობს, რომ სოფელ ხადიკში (ახლანდელი ტბეთი) ხალხია შეკრებილი... ვერ ვიტყვი, რომ აქცია მრავალრიცხოვანია — გაუსაძლის პირობებს სამოცამდე ადამიანი აპროტესტებს. თვალშისაცემია, რომ სახელდახელო მიტინგზე მხოლოდ მამაკაცები არიან... შორიახლოს, საპატრულო პოლიციის თანამშრომლები დგანან. ანალოგიური აქცია 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნებამდე რომ გამართულიყო, პოლიციას შეიძლება აქციის მონაწილეები და ორგანიზატორები დაეპატიმრებინა, ჟურნალისტებისთვის კი მუშაობის საშუალება არ მიეცა, მაგრამ ახლა სხვა დროა — პატრული არც აქციის მონაწილეებს ერჩის და არც ჟურნალისტებს, რაც, აპრიორი, კარგია, როგორც ჩანს, დემოკრატიას ნელ-ნელა ვსწავლობთ!

სოფლის შარაზე შეკრებილ გლეხებს უფლებადამცველი მერაბ ბლადაძე მიმართავს, ხალხი გასუსულია... უცნობი მამაკაცი მიახლოვდება, 50 წლამდე იქნება, მერაბ ირემაძედ მეცნობა და კარგა ხანია, ქუჩაში ვცხოვრობო, მეუბნება. ირემაძე, სხვა ეკომიგრანტების მსგავსად, ტბეთში სააკაშვილის ათიწლისწინანდელი მოწოდების მერე ჩამოსახლდა, მაშინ უთქვამთ — კომპენსაციას მოგცემთო, მაგრამ კომპენსაცია შორს ბუზისტოლადაც არ ჩანს. სახლში, სადაც შესახლდა, ბერძნისთვის 1000 დოლარზე მეტი მიუცია, დაპირებიან, სახლს გადაგიფორმებთო. ახლა კი, ვიღაც მისულა და უთქვამს, ეს სახლი მე ვიყიდეო და გამოუსახლებია...

ერთი სიტყვით, წალკის მუნიციპალიტეტის სოფლებში ჩასახლებულ აჭარელ ეკომიგრანტებს სამი მარტივი მოთხოვნა აქვთ: საცხოვრებელი სახლების, მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გადაცემა ანუ დაკანონება და იაფი კრედიტი. იმ შემთხვევაში, თუკი აჭარის ჯიპთმოყვარული ხელისუფლება ამ მოთხოვნებს, მინიმუმ, არ განიხილავს, ეკომიგრანტები გაზაფხულზე ბათუმში ჩასვლითა და რევოლუციის მოწყობით იმუქრებიან...



1. ქალიშვილისადმი მიმართვა იტალიაში
2. ავსტრალიის სიმბოლო ცხოველი
3. „ჯეინ ეირის" ავტორი
4. თებერვლის ძველქართული სახელწოდება
5. ჩინეთის ყოფილი დედაქალაქი
6. წარმოების საშუალებების გამოყენება
7. ზევსის მერიქიფე
8. ლევ ტოლსტოის ეროვნება
9. გალაკტიონ ტაბიძის მშობლიური სოფელი
10. ჩრდ. ამერიკის ინდიელთა ქოხი
11. იტალიური სატვირთო ავტომობილების მარკა
12. ტრიგონომეტრიული ფუნქცია
13. ჰომეროსის პოემა
14. მდინარე სამხრეთ ამერიკაში
15. უცხიმო ხორცი
16. სოფელი ზუგდიდის რაიონში
17. შიშველი სხეულის გამოსახულება ხელოვნებაში
18. ძროხის ნობათი
19. ცხოველთა მეფე
20. XIX ს-ის სერბი პოეტი
21. საფეხბურთო კლუბი „...-ჯორჯია"
22. კლავიშებიანი მუსიკალური საკრავი
23. გერმანული ავტომარკა
24. ფრთოსანი მერანი ბერძნულ მითოლოგიაში
25. ამერიკის კონტინენტის აბორიგენი
26. საზაფხულო საძოვარი
27. ცოცხალი ქსოვილის გადანერგვა
28. ტოკიოს ცენტრალური ქუჩა
29. მდინარის ტრანსპორტი
30. ებრაელთა ხმიადი
31. გრიგოლ ორბელიანის მეგობარი
32. გიტარის მავთული
33. კუკარაჩას ცოლი
34. რწმუნებული ანგლოსაქსურ ქვეყნებში
35. ინგლისელი ბუნებისმეტყველი
36. მუსიკ. გამის III ნოტი
37. გარეული თხა, იგივე არჩვი
38. ვერტიკალურად მდგარი ქვის სვეტი წარწერით
39. ცხენის ფეხზე დასაკრავი რკინა
40. თევზის ნახარშის სუპი
41. არაბული ფლეიტა
42. შეიარაღებული ბრძოლა ქვეყნებს შორის
43. მცენარეთა სამყარო
44. ჯულიეტას ბიძაშვილი შექსპირის დრამაში
45. წელიწადის 1/12
46. დღის მომდევნო დღეს ანუ ...
47. დიზაინერი ... სააბი
48. „მე, ბებია, ილიკო და ..."
49. თმის დასახვევი პატარა მილაკი
50. უფლისწ. აღმზრდელი „სიბრძნე სიცრუისაში"
51. ნუშისგან დამზადებული ლიქიორი
52. მითოლოგიური კვანძის „ავტორი"
53. ძვ. ხალხური თამაში ერთგვარი
54. საეკლესიო ზეთი
55. ძველი ბერძენი
56. სათამაშო კოჭის მთავარი მხარე
57. იაპონური თეატრის სახეობა
58. ველური კომში
59. მკვახე ყურძენი
60. დაბალი ბუსუსები ქსოვილზე
61. სპორტ. შეჯიბრების დაწყების მომენტი
62. ბობ მარლის ვარცხნილობა
63. ბულგარული არაყი
64. ვალერი მელაძის ცნობილი სიმღერა
65. ბალნეოლ. კურორტი ზუგდიდის რაიონში
66. მაუგლის მეგობარი პითონი
67. ფრანგი მწერალი ალფონს ...
68. დედის ან მამის დედა
69. სოფლის ავტორიტეტი „ნატვრის ხეში"
70. საწვავი სასარგებლო წიაღისეული
71. ზრდილობიანი მიმართვის ფორმა იაპონიაში
72. ... ულენშპიგელი
73. სპორტული ნაწარმის ფირმა
74. საოპერო პარტია
75. ჰოლანდ. გვარების წინსართი
76. დიზაინერი ნინა ...
77. სუსტი ქარი
78. ერნესტო ... გევარა
79. მდინარე ესპანურად
80. დენის ძაბვის მარეგულირებელი ხელსაწყო
81. ხორცი ბავშვის ენაზე
82. გეიშას მოწაფე
83. მუსიკ. გამის IV ნოტი
84. ინდური კობრა
85. კუნძული პარიზში
86. „ბუდენბროკების" ავტორი
87. პატარა ნაკადული
88. დაბალი და ფართო დივანი

# ლამაზი ამერიკელები კვერცხუჯრედებით ვაჭრობენ



ამერიკის შეერთებულ შტატებში ქალის გენეტიკური მასალის გაყიდვაზე ბიზნესი აეწყო. აქაურმა ბიზნესმენებმა ფულის შოვნის ახალ მეთოდს მიაგნეს — თან უშვილო წყვილებს „ეხმარებიან" და გარანტირებულად ჯანმრთელი, ჭკვიანი და ლამაზი ბავშვის ყოლას პირდებიან. ისინი სიმპათიური, განათლებული ახალგაზრდა მსახიობებისა თუ მოდელებისგან კვერცხუჯრედებს ყიდულობენ და მერე კლიენტებზე ყიდიან. გენეტიკური მასალის ღირებულება ზოგჯერ 20 ათას დოლარს აღწევს, ასეთი მაღალი ფასი კი საკმაოდ მარტივად აიხსნება — მშვენიერი სქესისთვის მასალის აღების პროცედურა საკმაოდ მტკივნეულია, თანაც ის ცხოვრებაში ექვსზე მეტჯერ არ ტარდება, კვერცხუჯრედის ყოველი „ჩაბარების" შემდეგ კი დონორმა კვირაობით უნდა სვას ჰორმონები. ამ საქმით დაკავებული ნიუ-იორკელი აგენტები დონორებად, ძირითადად, მოდელებსა და მსახიობებს ეძებენ. გარდა გარეგნობისა, ბიზნესმენები სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის დიპლომებსაც ამოწმებენ, რადგან კლიენტებს ლამაზის გარდა, ჭკვიანი ბავშვებიც უნდათ. ერთ-ერთი დონორი, 28 წლის მსახიობი რობინ იანგი აცხადებს, რომ 2009 წელს ამ გზით 10 ათასი დოლარი იშოვა, მოგვიანებით, ეს პროცედურა მეორედაც ჩაიტარა და ფიქრობს, კიდევ ერთხელ გაყიდოს კვერცხუჯრედი.



# ჰოროსკოპი
## 23 დეკემბერი

**ვერძი** — ჯანსაღი აზრის არარსებობა, სიჯიუტე და ზედმეტი პირდაპირობა, შესაძლოა, ნეგატიურად აისახოს დღეს ყველა საქმეზე. ვერც თავდადებული შრომა და გარშემომყოფების მხარდაჭერა დაგეხმარებათ არსებული პრობლემების მოგვარებაში.

**კურო** — ვარსკვლავები გირჩევენ, უფრო ყურადღებიანი იყოთ და ენერგიას ფუჭად ნუ გახარჯავთ, გააზრებული ქმედებები კი წარმატებას აუცილებლად მოგიტანთ.

**ტყუპები** — ემოციურმა დაძაბულობამ, შესაძლოა, ზღვარს მიაღწიოს, რადგან არ არის გამორიცხული ცუდი ამბავი შეიტყოთ, თუმცა ნუ ინერვიულებთ, მალე ყველაფერი შეიცვლება.

**კირჩხიბი** — არ არის გამორიცხული დროებითი მატერიალური პრობლემები, ამიტომ სჯობს, გქონდეთ რეზერვი გაუთვალისწინებელი ხარჯისთვის. ვიდრე ბიზნესის გაფართოების გადაწყვეტილებას მიიღებთ, კარგად აწონ-დაწონეთ საკუთარი შესაძლებლობები.

**ლომი** — შინაგანი ენერგიის მოზღვავება, შესაძლოა, დამანგრეველი აღმოჩნდეს არა მხოლოდ გარშემომყოფებისთვის, არამედ თქვენთვისაც. თქვენს საქციელზე იქნება დამოკიდებული ბევრი რამ. ნუ მოეშვებით და მეორეხარისხოვან ამოცანებზე ნუ გადაერთვებით.

**ქალწული** — დიპლომატია უნდა იყოს თქვენი დამხმარე ყველა სფეროში. შესაშური შრომისუნარიანობით გამოირჩევით — ბევრი საქმის გაკეთებას მოასწრებთ, რაც დადებითად აისახება შედეგზეც.

**სასწორი** — მშვიდი დღე გაქვთ, მცირე დაბნეულობა შესაძლოა, შეცდომების მიზეზი გახდეს. არის საფრთხე, სარისკო საქმეში ჩაგითრიონ, ამიტომ ყურადღებით იყავით და არც ერთი ნიუანსი არ გამოგრჩეთ მხედველობიდან.

**ღრიანკალი** — გამოიჩინეთ სიფრთხილე და ნუ იქნებით ბედნიერი შემთხვევითობის იმედად — ყველაფერი მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული. ურთიერთობების გარკვევისას კეთილგონიერება გამოიჩინეთ.

**მშვილდოსანი** — იძულებული გახდებით, სიმტკიცე გამოიჩინოთ და ყოველი სიტყვა აწონ-დაწონოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში გულსატკენთ საყვარელ ადამიანს.

**თხის რქა** — ვითარების გაანალიზების იშვიათი უნარი და დიპლომატია დღეს უდავოდ დაგეხმარებათ. მხოლოდ ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. თანამშრომლებისა და ოჯახის წევრების მიმართ მეტი ყურადღება გამოიჩინეთ და მოგებული დარჩებით.

**მერწყული** — დაძაბული დღეა, ძალიან გაგიჭირდებათ სწორი გადაწყვეტილების მიღება. გაუგებრობა, რაც არასწორი ინფორმაციითაა გამოწვეული ან სხვა ადამიანის გავლენა, შესაძლოა, ფინანსური დანაკარგის მიზეზი გახდეს.

**თევზები** — წინააღმდეგობებით აღსავსე დღეა — პირველი ნახევარი შესაძლოა, საკმაოდ მშვიდი იყოს, მეორე ნახევარში კი მსუბუქ დეპრესიას იგრძნობთ, რაც ყოველდღიურ საზრუნავს ჩამოგაშორებთ. ნუ დაემორჩილებით ნეგატიურ აზრებს, შეეცადეთ, საღი განსჯის უნარი შეინარჩუნოთ.

# წვიმის გამო ჩივილს აპირებს



კანადის პროვინცია კვებეკის სასამართლომ ადგილობრივ მცხოვრებს, ბრუნო ლედუკს აუკრძალა ახალი სასამართლო სარჩელების შეტანა. გარდა ამისა, კანადელს სხვა, არც თუ ცოტა, უცნაური სარჩელი აქვს სასამართლოში შეტანილი. როგორც პრესა წერს, ლედუკმა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში 70-ჯერ იჩივლა კერძო ადამიანებისა თუ კომპანიების წინააღმდეგ მეტად უცნაური და ალოგიკური მიზეზით: ცოტა ხნის წინ მან ერთ-ერთი ავიაკომპანიის წინააღმდეგ აღძრა საქმე მხოლოდ იმის გამო, რომ თვითმფრინავიდან გადმოსვლის დროს ფეხი იტკინა და კომპენსაციად 4 ათასი დოლარი მოითხოვა; უჩივლა მაღაზიათა ქსელს Costco იმის გამო, რომ ერთ-ერთი თანამშრომელი ძალიან ნელა ფუთავდა გაზონების საკრეჭ მანქანას; ბოლო სარჩელი კი დომინიკის რესპუბლიკის წინააღმდეგ იყო იმის გამო, რომ წვიმამ „შვებულება ჩაუშხამა“. საერთო ჯამში, ბოლო 13 წლის განმავლობაში ლედუკი 114 ათასი დოლარის კომპენსაციას ითხოვდა. კვებეკის სასამართლომ დაადგინა, რომ მამაკაცი ბოროტად სარგებლობდა ჩივილის უფლებით და გადაწყვიტა, მისთვის ეს უფლება შეეზღუდა. ახლა ბრუნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლება სარჩელის შეტანა, თუ ამაზე სასამართლო თანხმობას წინასწარ მისცემს.

# ევრომაიდანზე ტურისტებს ეპატიჟებიან

ვიდრე უკრაინელი დემონსტრანტები და მათი მხარდამჭერი დასავლელი პოლიტიკოსები კიევის ცენტრში არიან შეკრებილნი და აქციებს მართავენ, ზოგიერთი მეწარმე ამ მოვლენაზე შემოსავლის გაზრდას ცდილობს. მაგალითად, ქალაქ კრასნოდარის ერთ-ერთი ტურისტული კომპანია მსურველებს ტურებს „ევრომაიდანზე“ სთავაზობს, სადაც შედის გასეირნება კიევში და ექსკურსია პოლიტიკური პარტიების ბანაკებში. სტუმრებს კლიჩკოს მომხრეთა კარვებსაც აჩვენებენ და უკრაინელი ნაციონალისტებისაც, თუმცა მსგავსი ექსკურსიების უსაფრთხოებაზე ორგანიზატორები არაფერს ამბობენ. უკრაინის დედაქალაქში ერთი



დღით გასეირნების მსურველებს კომპანია ბონუსად „დუტი ფრის“ მაღაზიაში შევლასა და საახალწლოდ ალკოჰოლის იაფად შეძენას პირდება. ტურის ღირებულება 7 ათასი რუსული რუბლია და როგორც ტურისტული ფირმის ერთ-ერთი ხელმძღვანელი აცხადებს, საკმაოდ ბევრი მსურველიც გამოუჩნდათ, რადგან გარდა „ევრომაიდნის“ ტურისა, კომპანია ჩერნობილის მონახულებასაც სთავაზობს.

# მგზავრობის საფასურს თაფლაკვერებით გადაიხდიან




ფინეთის მკვიდრთ, შობის წინ შეუძლიათ, სამგზავრო ბილეთებზე ეკონომია გაწიონ და ავტობუსით მგზავრობის საფასური ჯანჯაფილის თაფლაკვერებით გადაიხადონ. „ჯანჯაფილის ბილეთები“ ერთგვარი მეთოდია, მადლობა გადავუხადოთ ჩვენს კლიენტებს გასული წლისთვის და შევახსენოთ, რომელი პერიოდია ყველაზე გადატვირთული ავტობუსით მგზავრობისთვის, — აღნიშნავს ერთ-ერთი სატრანსპორტო კომპანია Matkahuolto-ს დირექტორი. მისი თქმით, უფასო მგზავრობისთვის აუცილებელია, მგზავრებმა კომპანიის სალაროში თაფლაკვერი აჩვენონ. მძღოლისთვის წარდგენილი ტკბილეული კი ბილეთის რანგში არ განიხილება. როგორც სატრანსპორტო კომპანიაში აღნიშნავენ, აქცია ერთდღიანი იქნება და ბილეთად მხოლოდ ის ტკბილეული ჩაითვლება, რომელზეც საწყისი და საბოლოო პუნქტები იქნება აღნიშნული, ამ უჩვეულო მეთოდით მგზავრობას კი მხოლოდ 500 ადამიანი შეძლებს.

# ალცჰეიმერის საწინააღმდეგო წამალი შექმნეს

შვედეთში ახალი პრეპარატი შექმნეს ალცჰეიმერის დაავადების საწინააღმდეგოდ, რომლის ზემოქმედებაც პრინციპულად განსხვავდება უკვე არსებული პრეპარატებისგან. სიახლის



ავტორები ვარაუდობენ, რომ მსოფლიოში პირველი პრეპარატის შექმნეს, რომელიც დაავადების განვითარებას აფერხებს. წამალს 800 პაციენტზე გამოცდიან, რომელთაც სხვადასხვა ქვეყნიდან შეარჩევენ. სწავლულები იმედოვნებენ, რომ ორი-სამი წლის შემდეგ უკვე ექნებათ პასუხი კითხვაზე, ნამდვილად შეუძლია თუ არა მათ პრეპარატს ალცჰეიმერის განვითარების შეჩერება. თუ შედეგები დადებითი აღმოჩნდება, წამალი ბაზარზე 5-6 წელიწადში გამოვა.



# ჰოროსკოპი
## 24 დეკემბერი

**ვერძი** — შესაძლოა, ჩვეული რიტმიდან ამოგაგდოთ განცდამ და რთულმა ცხოვრებისეულმა ვითარებამ, მაგრამ ამ ყველაფერს ნუ მისცემთ თქვენი მართვის საშუალებას — აკონტროლეთ ემოციები და მაქსიმალურად ეცადეთ, თავი აარიდოთ კონფლიქტს.

**კურო** — არ ღირს გარშემომყოფებთან წუწუნი — მათ თქვენი მცირე წარუმატებლობაც კი გაახარებს და ამით არსებულ პრობლემებს უფრო გაართულებთ.

**ტყუპები** — დროა, ცოტა ეგოიზმი გამოავლინოთ და საკუთარ თავს მეტი დრო დაუთმოთ. მართალია, ეს ოჯახის წევრებს გააღიზიანებს, მაგრამ ნუ აყვებით პროვოკაციას და დაძაბულ ატმოსფეროს გაერიდეთ.

**კირჩხიბი** — თუკი ასე თავგამოდებით ცდილობთ აკრძალვების დარღვევას, მზად იყავით, რომ ამისგან კარგ ვერაფერს მიიღებთ. ნუ შეეცდებით, დღეს იმით დაკავდეთ, რაშიც ძლიერი არ ხართ.

**ლომი** — ვარსკვლავები გირჩევენ, მკაცრად აკონტროლოთ ყოველი მოქმედება, რადგან დიდია შეცდომის დაშვების ალბათობა. ნუ იქნებით ზედმეტად კრიტიკული, თუმცა საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობისას კომპრომისზე არ წახვიდეთ.

**ქალწული** — შეეცადეთ, ზედმეტად არ გადაიტვირთოთ, რადგან სასიცოცხლო პოტენციალი ძალიან დაბალია. ნურც არსებულ პრობლემებზე ფიქრით დაიღლით გონებას, რადგან ჯერჯერობით, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოსალოდნელი არ არის.

**სასწორი** — დასვენება გჭირდებათ, რადგან შექმნილი ვითარება კონტროლს აღარ ექვემდებარება. ნუ აყვებით ემოციებს და გაითვალისწინეთ კომპეტენტური ადამიანების რჩევები.

**ღრიანკალი** — მიუხედავად დატვირთული დღისა, შეეცადეთ, ყურადღება მიაქციოთ ჯანმრთელობას და მეტი დრო გაატაროთ ოჯახის წევრების გარემოცვაში — ამით მათ ძალიან გაახარებთ.

**მშვილდოსანი** — ნებისმიერი გამათი თქვენს სასარგებლოდ გადაწყდება. მხოლოდ ნუ წახალისდებით და უსაფუძვლოდ ნუ წამოიწყებთ მას. მაქსიმალურად ეცადეთ, გაერიდოთ კონფლიქტურ ვითარებას და არ აყვეთ პროვოკაციებს.

**თხის რქა** — საკუთარ სიმართლეში დარწმუნებულებმა, შესაძლოა, რეკორდული რაოდენობის სისულელე ჩაიდინოთ. ყური დაუგდეთ გარშემომყოფების რჩევებს — ისინი არც ისე გამოუსადეგარი აღმოჩნდება, როგორც გგონიათ.

**მერწყული** — ამ ნიშნის წარმომადგენლებს ვარსკვლავები ურჩევენ, ტემპი შეანელონ და ამოისუნთქონ. ეს ცოტა გონებას გაგინათებთ და ისიც გაგახსენდებათ, რისთვის იღვწით ასე გამალებით.

**თევზები** — მშვილდოსნებს შეუძლიათ, დილიდან საღამომდე ინებივრონ და ყოველი წამით დატკბნენ. განსაკუთრებით კარგი კი საღამო იქნება, რომელსაც მარტოობაში ნამდვილად არ გაატარებთ.

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | | | | | | 7 | 5 |
| 2 | | 8 | 5 | | | 6 | | |
| 6 | | 1 | 3 | | 7 | | | |
| 8 | | | | 9 | 5 | | | |
| | | | | | | | | |
| | | | 2 | 7 | | | | 6 |
| | | | 7 | | 8 | 2 | | 3 |
| | | 4 | | | 6 | 9 | | 8 |
| 5 | 8 | | | | | | | 7 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 4 | | | 3 | | 9 | 1 | |
| | 5 | | | 1 | 7 | | | 2 |
| | | | | | 6 | 5 | | |
| 8 | 2 | | | | | | | |
| | | | 7 | 6 | 8 | | | |
| | | | | | | | 8 | 1 |
| | | 7 | 4 | | | | | |
| 3 | | | 2 | 7 | | | 9 | |
| | 8 | 2 | | 5 | | | 7 | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 | | | | | | 7 |
| | 5 | | 7 | | | 4 | | |
| 7 | 4 | | | | 9 | | 3 | |
| | | | 9 | | | 6 | | 8 |
| | | | 6 | 4 | 5 | | | |
| 3 | | 6 | | | 8 | | | |
| | 1 | | 5 | | | | 8 | 2 |
| | | 7 | | | 1 | | 9 | |
| 9 | | | | | | 1 | | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 5 | | 9 | | 8 | |
| | | 6 | | | | 5 | | 1 |
| | | | | 2 | 1 | 3 | 9 | |
| 6 | 4 | | | 1 | | | | |
| | 7 | | | | | | 5 | |
| | | | | 7 | | | 3 | 2 |
| | 3 | 5 | 1 | 4 | | | | |
| 1 | | 7 | | | | 2 | | |
| | 6 | | 7 | | 3 | | | |



# ჩინელმა ბიზნესმენმა ცოცხლების სასაფლაო მოაწყო

ერთმა გამჭრიახმა ჩინელმა ბიზნესმენმა, რომელიც მის საკუთრებაში არსებულ სასაფლაოს უწევს რეკლამას, იქ საფლავის ქვები დადგა ცოცხალი ადამიანების ეპიტაფიებით. პეკინთან ახლოს მდებარე პატარა ქალაქის მაცხოვრებლები სასაფლაოს „ცოცხალი მკვდრების მიწას" ეძახიან, სადაც საფლავის ყოველ ქვაზე სახელი და გვარია მითითებული, არადა აქაურები იმქვეყნად გამგზავრებას ჯერ არ აპირებენ. სასაფლაოს „ჭკვიანი" მფლობელის აზრით, ასეთი ღონისძიება ადამიანებს უცილობელ დასასრულს შეახსენებს და აიძულებს, წინასწარ იზრუნონ საფლავის შეძენაზე. საფლავის ფასი 16340 დოლარია, არადა ასეთი თანხის გადახდა არც ერთ ადგილობრივს არ შეუძლია. ამავდროულად, ხელისუფლება საკმაოდ შეწუხებულია უჩვეულო სარეკლამო ტრიუკით და ცდილობს გაარკვიოს, ბიზნესმენმა მსგავსი ქმედებით დაარღვია თუ არა მოქმედი კანონმდებლობა.

# შრიფტი მხედველობის შესანარჩუნებლად

თუ კომპიუტერთან დიდი ხნით გიწევთ ჯდომა, გირჩევთ, ამერიკელი მედიკოსების რჩევა გაითვალისწინოთ და მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები მინიმუმამდე შეამციროთ. ასეთ დროს ტექსტის შრიფტის არჩევასაც კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს. გამოკვლევისას ამერიკელმა სწავლულებმა დაადგინეს, რომელი შრიფტია ყველაზე უსაფრთხო თვალისთვის — ესაა Verdana. სპეციალისტები აცხადებენ, რომ ვისაც მხედველობის პროფილაქტიკა სჭირდება, სწორედ ეს შრიფტი უნდა გამოიყენოს, რადგან Verdana-ს არ აქვს ნაჭდევები, ამიტომ თვალიც ნაკლებად იღლება. მედიკოსები დარწმუნებულნი არიან, რომ მნიშვნელოვანია ასოების შესაფერისი ზომის შერჩევაც — ოპტიმალური ვარიანტი კი 10-12 ყოფილა.




# შობის დღესასწაული ოჯახს საფრთხეს უქმნის



გერმანიაში, შობის დღესასწაულის დასრულებისთანავე განქორწინების რიცხვი მატულობს და, ანალიტიკოსების მონაცემებით, ეს მაჩვენებელი დაახლოებით 2%-ია. როგორც ჩანს, შობა სერიოზული გამოცდაა, რომელსაც ბევრი წყვილი თავს ვერ ართმევს. აღმოჩნდა, რომ გერმანელებს ყველაზე ხშირად აღიზიანებთ ნათესავები, მათი უადგილო ხუმრობები სადღესასწაულო სუფრასთან ან არასაკმარისად დახვეწილი მანერები. ამის თაობაზე გამოკითხული რესპონდენტების 18%-მა დაიჩივლა. განქორწინების მიზეზი ხშირად კამათია საკითხზე, სად და ვისთან ერთად უნდა გაატარონ შობა — ეს თემა გამოკითხული წყვილების 17%-ს აწუხებს, ამ დროს ცოლების 37% და ქმრების 24% საკუთარი მშობლების კომპანიას არჩევს. გერმანელების მეოთხედი, ნათესავებმა ნერვები რომ არ მოუშალონ, ამჯობინებს, შობის დღესასწაული ვიწრო წრეში, ბავშვებთან ერთად გაატაროს. სხვა თემები, რომელიც შობაზე ოჯახურ იდილიას არღვევ:, „მკაცრი სადღესასწაულო რიტუალის" დაცვის აუცილებლობა (15%), საჩუქრების არჩევა (13%) და სტუმრად წასვლისა და სტუმრების მიღების დღეების განაწილებაა (12%).



# მსოფლიო დედაქალაქად ლონდონი დაასახელეს

განვითარების ხუთი ძირითადი კრიტერიუმით, ცხოვრების ხარისხითა და საერთაშორისო პროცესებზე გავლენით, ლონდონი შეიძლება მსოფლიოს დედაქალაქად ჩაითვალოს, — ასეთ დასკვნამდე ჟურნალი Iნტელლიგენტ ჲIფე მივიდა, როდესაც ამ ტიტულის მოსაპოვებლად წარდგენილი ცხრა პრეტენდენტი ქალაქი შეადარა. სია კი ასეთი იყო: პეკინი, შანხაი, ტოკიო, დელი, მუმბაი, მეხიკო, ვაშინგტონი, ნიუ იორკი, ლონდონი. ქალაქები შემდეგი პარამეტრებით ფასდებოდა — ძალაუფლება და პოლიტიკური გავლენა, შემოსავალი და კეთილდღეობა, განათლება, კონტაქტები და ეკონომიკური კავშირები, კულტურა. აღმოჩნდა, რომ რეიტინგის ავტორთა მოთხოვნები სრულად მხოლოდ ლონდონმა დააკმაყოფილა — ნისლიან ალბიონზე განვითარებულია ფინანსური ბაზარი და სამეცნიერო, საგანმანათლებლო, კულტურული, გლობალური კავშირების დიდი ქსელი არსებობს. ნიუ იორკი ლონდონს მხოლოდ ერთი პუნქტით — ეკონომიკური სიძლიერითა და პოლიტიკური გავლენით ჩამორჩა. პეკინს „უცხოელები არ ეყო" (მოსახლეობის მხოლოდ 1%), რომ ეს ტიტული მოეპოვებინა, ვაშინგტონს კი, რომელსაც მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენა აქვს მსოფლიოში, „მსოფლიო დედაქალაქის" წოდების მიღებისთვის ქარიზმა დააკლდა.

# წინა ნომერში გასული სუდოკუს პასუხები

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 3 | 9 | 8 | 4 | 5 | 2 | 1 | 7 |
| 8 | 5 | 2 | 3 | 7 | 1 | 6 | 9 | 4 |
| 7 | 1 | 4 | 6 | 2 | 9 | 5 | 8 | 3 |
| 4 | 9 | 5 | 2 | 3 | 8 | 1 | 7 | 6 |
| 3 | 8 | 1 | 9 | 6 | 7 | 4 | 5 | 2 |
| 2 | 7 | 6 | 5 | 1 | 4 | 9 | 3 | 8 |
| 5 | 2 | 3 | 7 | 9 | 6 | 8 | 4 | 1 |
| 1 | 6 | 8 | 4 | 5 | 3 | 7 | 2 | 9 |
| 9 | 4 | 7 | 1 | 8 | 2 | 3 | 6 | 5 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 9 | 8 | 2 | 6 | 3 | 5 | 4 | 1 |
| 6 | 2 | 5 | 1 | 9 | 4 | 7 | 8 | 3 |
| 1 | 4 | 3 | 8 | 7 | 5 | 6 | 2 | 9 |
| 5 | 8 | 2 | 4 | 3 | 1 | 9 | 6 | 7 |
| 9 | 3 | 6 | 7 | 5 | 2 | 4 | 1 | 8 |
| 4 | 1 | 7 | 9 | 8 | 6 | 3 | 5 | 2 |
| 3 | 7 | 4 | 5 | 2 | 8 | 1 | 9 | 6 |
| 2 | 6 | 1 | 3 | 4 | 9 | 8 | 7 | 5 |
| 8 | 5 | 9 | 6 | 1 | 7 | 2 | 3 | 4 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 1 | 7 | 8 | 6 | 5 | 3 | 2 | 4 |
| 4 | 2 | 8 | 1 | 7 | 3 | 9 | 6 | 5 |
| 3 | 6 | 5 | 4 | 2 | 9 | 1 | 7 | 8 |
| 8 | 3 | 1 | 9 | 5 | 2 | 7 | 4 | 6 |
| 2 | 5 | 6 | 7 | 1 | 4 | 8 | 3 | 9 |
| 7 | 4 | 9 | 3 | 8 | 6 | 5 | 1 | 2 |
| 1 | 9 | 4 | 2 | 3 | 8 | 6 | 5 | 7 |
| 6 | 8 | 3 | 5 | 4 | 7 | 2 | 9 | 1 |
| 5 | 7 | 2 | 6 | 9 | 1 | 4 | 8 | 3 |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 7 | 6 | 4 | 3 | 2 | 1 | 9 | 8 |
| 3 | 8 | 9 | 7 | 1 | 6 | 2 | 5 | 4 |
| 4 | 1 | 2 | 5 | 8 | 9 | 3 | 7 | 6 |
| 2 | 9 | 5 | 6 | 7 | 3 | 4 | 8 | 1 |
| 1 | 4 | 3 | 9 | 2 | 8 | 7 | 6 | 5 |
| 8 | 6 | 7 | 1 | 5 | 4 | 9 | 3 | 2 |
| 7 | 5 | 4 | 3 | 6 | 1 | 8 | 2 | 9 |
| 9 | 3 | 8 | 2 | 4 | 5 | 6 | 1 | 7 |
| 6 | 2 | 1 | 8 | 9 | 7 | 5 | 4 | 3 |

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, ნათია ვასაძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული
მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა
და ინფორმაციის სიზუსტეზე
პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის
შემთხვევაში დაგვიკავშირდით
14 დღის განმავლობაში.

# დაცვის პოლიცია მომხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.







GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარის და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- საწვავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

**GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.**

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).




# გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!




